

0187



# საქართველოს მემორიალი

საქართველოს  
მემორიალი



1915



№ № IX & X.

მოზრდილთათვის




# დაბეჭდილი

საგარეო უწყების  
სამხარეო განყოფილება

1915 წლის აპრილის 19-ი

№ 9 ტ. 10

4161



დაბეჭდილი

საქართველოს საგარეო უწყების  
თბილისი  
სამხარეო განყოფილება

296

## შინაარსი

I—დამშეული,—სურათი . . . . .	1
II—დედა,—ლექსი ღუტუ მეგრელისა . . . . .	3
III—ბერუას ნიკორა,—გ. თქმისხევედასა . . . . .	4
IV—შორსა ვარ,—ლექსი, დ. კლიაზაშვიდასა . . . . .	19
V—კაკლის ხე,—აჩხაღ ანქოსა . . . . .	21
VI—ჩიტის,—ლექსი ა. მჭედლაშვიდასა . . . . .	23
VII—„ხრისტაგანი და ბელთაგანი ტარიელების ამბავი“, მეგრელოში ჩაწერილი ხალხური ზღაპარი იოსებ ყიფშიძის მიერ . . . . .	24
VIII—აპარაში,—ხატაზა გოგასა . . . . .	54
IX—ბრუნო ანუ ღრუბელთა ქვეშ,—(თავისუფალი თარ- გმანი) ანუ რაჭვედასა . . . . .	73
X—ბრძოლა აღამიანისა ბუნებასთან.—რომელი ძალები შველიან აღამიანს ბუნებასთან ბრძოლაში (წერილი მეთოთხმეტე) ივ. როსტომაშვიდასა . . . . .	87
XI—გასართობი,—შარაღა და აღსნა . . . . .	96



# დედა



დედა სტიროდა,—ომში მიმავალ  
საყვარელ შვილსა ეთხოვებოდა;  
«ნუსტირი,—მალე დაგიბრუნდები!»  
შვილი ნუგეშად ეუბნებოდა...

დედა სტიროდა,—ომში წასულსა  
საყვარელ შვილსა ელოდებოდა;  
„მალე შეწყდება ომი და მოვალ!“  
შვილი ნუგეშად იწერებოდა...

დედა სტიროდა,—ომში მოკლულ შვილს  
მარად იგლოვდა, კრემლად დნებოდა;  
„მალე სამუდამოდ ჩვენ შევერთდებით!“  
ნუგეშად შვილის ხმა შეესმოდა.

დედაც სტიროდა და მოელოდა  
იმ ნეტარ წამსა, როს მოკვდებოდა;  
გულს ჩაიკრავდა კვლავ საყვარელ შვილს  
და აღაროდეს განშორდებოდა!..

დუბუ მეგრელი





## ბერუს ნიკორა

### I



ოდის მოხუცებული ბერუა სოფელ წოდორეთიდან და მოჰყავს თავისი ბებერი „ნიკორა“ კამეჩი ქალაქში გასაყიდად.

საწყალი ნიკორა! მანამ ღონე ჰქონდა, პატრონმა სული ამოართვა ბევრი მუშაობითა: აზიდვინა შეშა, ქვიშა, ქირა. კვირა-უქმე დღეებშიაც-კი არ დაუსვენებია. სხვას რომ გაემწარებინა ამისი პატრონი, სახრე ნიკორასათვის უნდა დაერთყა. ძვირად უსვამდნენ ქვეყანაზე არსებობას, ერთ მუკა ბზესა და თივას.

ბევრჯელ დედამიწა ღვთის მოსავლით სავსე ყოფილა. კამეჩი მწვანე ბალახით ალაღანებულ მინდორზე გაუტარებიათ. ნიკორას თვალეები ზედ დარჩენია, პირში წყალი მოსვლია, მაგრამ მძიმე ტვირთი ხვნეშით უწყევია და ნება არა ჰქონია ღვთისაგან მოყვანილ საზრდოს მოძოვნისა. ახლა-კი, როცა გამხმარ ქედზე უღელს ველარ იმაგრებდა და დასვენება ეჭირ-



ვებოდა ნიკორას, რომელსაც პატრონისათვის არასოდეს არ უღალატნია მუშაობაში, ბერუამ გაიმეტა თავისი ერთგული პირუტყვი ყსბების ხელში ჩასაგდებად!

ან კი რა ექნა ბერუას: იმასაც საქმე უჭირდა. ქვეყანა ზედ მისდგომოდა: მიწის პატრონი, მამასახლისი, ღვდელი, ვაქარი, მოვალე... ყველა იმას აწუხებდა. რა იმისი ბრალი იყო, რომ უფულოდ ნიკორას მაგიერ „ლომას“ ამხანაგად, რომელიც შინ ცალად დარჩა, ვერსად იშოვნოდა გაუმძღარი ქვეყნის გასაძლოლად.

ბერუა მართალი იყო: უღონო კამეჩით ცხოვრება არ შეეძლო.

ნიკორას რაღა დანაშაული ჰქონდა?

ღმერთმა გააჩინა; ამუშავეს, ამუშავეს, და როცა წელი და კისერი მოსწყვეტეს, ახლა ხორციც უნდა შეუქამონ აღამიანებმა!

— თფრეე, ჰოო! — უტყვის ბერუა წამ-და-უწუმ წინ უღონოდ მიმავალ ნიკორას და უეპუნებს მალ-მალე სახრეს ჩახვეწილ გვერდებში.

ნიკორა დაჯანდაკებულია. ქედი დაზიანებული აქვს. აღარ შეუძლია მეტი სიარული: ლამის წაიქცეს, მაგრამ მუხლებს ძალას ატანს და თავ-ჩალუნული საცოდავად ზოზონით მიაბიჯებს ფეხებს.

შარა გზას დასასრული არ უჩანს.

ბერუა თავის გულში ოცნებობს:

— ოთხი თუმანი რო მომცენ, ოთხ თუმანსაც ვალს ავიღებ, და რვა თუმნად ერთ კაი ზაქს ვიყიდი „ლომას“ ამხანაგად. ამ ორიოდ დღეს-კი კარგად დაისვენებს „ლომა“, თუ ჩემი ბიჭი გიგა მალე არ დაბრუნდა სიღვდრიანთგან. კაი დროს ეწვია ამ „სამღვთოობას“. მერე თუ თავის დანიშნულიც გაუტკბა, მგონი ერთ კვირას იქ დარჩეს... მეც რო დრო მქონოდა, კარგი იქნებოდა წავსულიყავ; ერთი ჩემებურად, ლაზათიანად ვიქეფებდი ამ დარდიან გულზე... მაგრამ არა უშავს-რა: დეე, გიგამ გაიხაროს. მე ჩემი დრო მოქმული მაქვს.

ეხლა ჯერი იმისია. მართალია, ქირაზე წასვლას დასცდა, მაგრამ ქიტას ბრალია, რომ კამეჩი არ გვათხოვა. ერთხელ იმასაც დასჭირდება. მაგრამ არა: მე მაინც კიდევ დავებმარები. მაგიერი—სიკეთე უნდა გადაიხადოს კაცმა, და არა ბოროტი .. თუ ნამუსი აქვს, მერე იმასაც შერცხვება და კაი-კაცობას იზამს. არ იზამს კაიკაცობას, და ყველა რო ჩამოშორდება, მერე სადღა წავა? იქნება იმისი ბრალიც არ იყო... ენას ყველაფერი შეუძლია. ოთხი თუმანი რო მომცენ, ჩემ ბედს ძალლი აღარ დაჰყვებს. იქნება ამ შემოდგომაზე მოვახერხო როგორმე ბიჭის ქორწილი...

ნიკორა-კი ისევ თავჩალუნული მიდის და მიდის. თითქო უკვირს: ამ გზაზე ჩემ პატრონს კვლავ ასე ქედ-სუბუქად არ გაუტარებია და ახლა რა იღბალია, რომ ასე შეღავათით მივყვარო.

გზა აღარა თავდება.

ნიკორას აწუხებს ხშირად სხვა-და-სხვა ეტლების მორიდება. თითო რამის გამოჩენაზედ ორი-სამი სახრე ხედება გამბმარ ძვლებზე.

— სად მიგყავს, ბერუავ, შენი ბებერი ნიკორა ცალად?— შეაწყვეტინა ბერუს ფიქრები ერთმა იმავე სოფლეღმა მეურმემ.—დაჰედვა ხომ არ უნდა?

— არა, ქალაქში მიმყავს გასაყიდად,—უბასუხა ბერუამ.

— რა დავმართა: ველარ ერევა ურემსა?

— ამ ერთ წელიწადს კიდევაც ატარებდა, მაგრამ ი ვერანა მსხვილი ტივის ხეები რო ვაზიდვინე, იმან ძალიან მოსწყვიტა კისერი.

— „ლომა“ ხომ ყოჩაღად არის?

— „ლომა“ ასეთია როო, ვასკვლავებს ეთამაშება,—აჲაყად მიუგო ბერუამ.

შეურმე გასცდა.

ბერუა ჩაინთქა კვლავ თავის ანგარიშის ფიქრებში:

— ოთხი თუმანი თუ მომცეს, ძალიან კარგა წამივა საქმე. ქედი რო წამხდარი არა ჰქონდეს, ნამდვილად მომცემენ. ტყავი ღირს მარტო ერთი თუმანი, სხვა არა იყვეს-რა: ზარალში არ მოვლენ...

ამ დროს დაინახა დაქანებული ავტომობილი.

ბერუა დაფაცურდა: უნდოდა კამეჩი რუს მხარეს ნაპირზე მიეყენებინა, მაგრამ ნიკორა სხვა ეტლების შუა გაება და ავტომობილმა ოდნავ გვერდი გაჰკრა, ასე რომ ბარძაყის ტყავი ცოტათი გადააყვლიდა.

— შენ გაგავერანა და გაგატიელა ღმერთმა, აჰაანდეე! — ჯავრ-მოსულმა მოუარა წინიდან და დაუხია. სახრე მოუხვდა რქაში. ნიკორა დარეტიანებული დაეცა ძირსა. ბერუამ გაუშინჯა და ნახა — რქა ღრმად შერყევოდა საწყალ პირუტყვს.

— აი, ახლა მომცემენ ოთხ თუმანსა! — ამოიოხრა მწარედ ბერუამ და დაუწყო კამეჩს მოსულიერება. როგორც იყო — წამოაყენა და გაიგდო ისევ წინ.

ამ დროს უცებ ხელი წაავლო ერთმა თავის ხნის კაცმა, ანდრია მონიაშვილმა, რომელიც ცხოვრობდა წოდორეთიდან კარგა დაშორებით, სოფელ ნიჩბისში.

— გამარჯობა, ნათლიმამ! სხვა, ხომ კარგათა ბრძანდები შენი ცოლშვილითა? — მისცა სალამი ანდრიამ ბერუას და მოიკითხა.

— ოჰ! გაგიმარჯოს, ნათლია-ჩემო! ვცხოვრობთ, როგორც ღმერთს უნდა. თქვენ როგორლა იმყოფებით ჯალაბობითა? როგორი მოსავალია თქვენში? — აურია ბერუამ ერთმანეთში ყველა გარემოება. მისი გონება თავისთავად არკვევდა, რომ თუ ნაშრომი არ მოსცდებოდა და სისხლე იქნებოდა, მეტი სიმდიდრე საჭირო არ იყო გლეხ-კაცისათვის.

— მადლობა ღმერთსა! არის რალა... — ამოიოხრა ანდრიამ მწარედ.



ბერუა და ანდრია „ნათელ-მირონები“ იყვნენ, მაგრამ ამ ბოლო ხანებში იშვიათად-და ხვდებოდნენ ერთმანეთს. ამის მიზეზი იყო დროთა ცვლილება და ცხოვრების ქარტეხილი.

— შენი ბიჭები სად არიან, რო შეშა მაგ დროულ კაცს თითონ წამოვიღია? აკი ურემზე არ დადიოდით: უფრო ხენათესვას მისდევდით?—ჭკითხა ბერუამ საჩუმის შემდეგ.

— ხენათესვას მივდევდით მაშინ, როცა მიწა საკმარისი გვქონდა. ზოგი სახელმწიფოდ ჩარიცხეს: რუსები უნდა გადმოვასახლოთო. ზოგი საეკლესიოდ გადააქციეს. ზოგი ბატონებმა ჩამოგვართვეს და დაყიდეს უცხოელებზე. ახლა მარტო ტყე-ლა შეგვრჩა ხელში სულის მოსაბრუნებლად. იქაც ურემზე ათ შაურს გვახდევინებენ. ტყე რო გაიკაფება და შეშაც გამოილევა, მერე უნდა ავდგეთ და წყალში გადავცვივდეთ.

— დრო გაფუტდა, ჩემო ანდრიაე, დრო. ქყეყანა ცოდვით გაივსო. ჩვენ კიდევ არა გვიშავს-რა: ჩვენმა შეილებმა რა უნდა ქნან ამას იქით, ის არის სადარდელი.

მუდამ ბერუასაგან შეილების ხსენებაზე ანდრიას რალაც სევდა შემოაწვებოდა ხოლმე გულზე და არ უნდოდა იარა აშლოდა მწარე მოგონებით.

— სად მიგყავს ე ჯანდაკი კამეჩი?— გადაასხვაფერა ანდრიამ კითხვა.

— ქალაქში მიმყავს გასასყიდად.

— რა მოუვიდა: დავარდა, თუ დაბერდა?

— ორივე დაემართა. ახლა კიდევ გზაში ურმების შუა გაიხლართა ეგ ვერანი: ავტომობილია, თუ რალაცა ჯანაბა, წამოეწია, გვერდი წამოჰკრა და აგერ ტყავიც გადააძრო ბარძაყზე.

— თავს რალათ იქნევს? ალბად დაარეტიანა კიდესა.

— გაჯავრებულმა სახრე გადავარტყი; მინდოდა გვერდზე მიმეყენებინა, და რქაში მომიხვდა. ცოტათი ენძრევა რქა.



— ყველა უბედურება მაგ საწყალს დამართვიდა. რას მოგცემენ ყასბები?

— მინდა ოთხ თუმნად გავყილო. ზოგსაც ვაღს ავიღებ. „ლომა“ კამეჩი შინ ცალად მიცდება: იმისთვის ამხანაგს ვიყიდი. თუ კარგა წამივიდა საქმე, ეგებ როგორმე ბიჭის ქორწილიც მომიხერხდეს შემოდგომაზე.

ანდრიამ უფრო მწარედ ამოიგმინა.

— რა იყო, ანდრიავ?—ჰკითხა ბერუამ:—რას ოხრავ? რაღაც დარდი გაწუხებს... ვერ დააქორწილე შენც შაქარა და არტუა?

— ნულარა მკითხავ, ჩემო ბერუავ: რაც მე ამ ერთ წელიწადს მწუხარება გამოვიარე, არა აღამიანს არ შეგძლოა გაძლება. ან კი ცოცხალი როგორღა დავდივარ ჰვეყანაზე.

— რა მოგივიდათ, კაცო? რატომ აგრე მალავ შენს ამბავს?—ჰკითხა უცებ შექმუნვებულმა ბერუამ.

— უბედურება, ჩემო ბერუავ, უბედურება. შაქარამ თქვენი კირი წაიღო, არტუა კი დღესაც ციხეში ზის.

ამ სიტყვებს კინალამ გული თან ამოაყოლა ანდრიამ.

— რა მიზეზითა, შე საწყალო? ან შაქარას რა მოუვიდა, ი ბედშავსა?

— ხატი გაგვირისხდა, ვენაცვალე იმის მადლსა და ძალსა. აღბად ვერ ვასიამოვნეთ ისე, როგორც იმას ნებავდა... შაქარა ავად რო გაგვიხდა, მკითხავს ვაკითხვინეთ. თელეთის მიზეზი ამოუვიდა. შევაბით ურემი და წავიყვანეთ ცხვარი. რაც რაგი და წესი იყო, ყველაფერი შევასრულეთ. სანთლები ავანთეთ; ღვდელს ვაწირვინეთ და თავისი წილი ბეჭიკა და ფულიც მივართეთ. ხალხი ბევრი იყო და ოთახი ვერ ვიშოვნეთ. შაქარას საყდრის კედელთან გაუშალეთ ლოგინი. საწყალი გვერდებს იტკივებდა: სუნთქვას უშლიდა. ისეთი ცივი ქარაშოტი ადგა, რომ თვალები გვეფსებოდა მიწითა. არტუა ბიჭებში გარეულიყო და ცოტა კიდევ გადაეკრა ღვი-

ნო. ჩხუბი მოსვლოდათ; ვილაცხეებს ჩაფრებისთვინ ეცემნათ. ამ დროს ბოქაული მოსულეიყო. ხალხი დაეკირათ და არტუაც შიგ მოეყოლებინათ. იმ საღამოსვე ავიშალენით. შევებით ურემი და წამოვედით შინისკენ. გზაში ურემს ქარმა ჩარდახი მოგლიჯა. ვაი ამ დღის მომსწრეს! შაქარამ უცებ ულონოდ დაიძახა: „ვაიმე, მიშველეთო!“! საცოდავმა ცის ქვეშ დალია სული. ვაიმე, შვილო, რატო მამა-შენი უწინ არ მოგიკვდა! იმისმა დედამ რომ ცრემლი დაღვარა, ერთი მდინარე იქნებოდა... აი, რა შავი დღე გამოვიარე, ჩემო ბერუავ, რაც შენ არ გინახავარ,—დაათავა ანდრუამ და თვალეზი მოიწმინდა.

— ღმერთმა მოთმინება მოგცეს!—ანუგეშა ბერუამ, რომელიც აქამდინ სმენად გადატყეული ყურს უგდებდა ანდრუას ლაპარაკს და მხოლოდ ახლა შეამჩნია ორივემ, რომ ჯვარედინ გზას უნდა გაეშორებინა ისინი. რამდენი დარდი დარჩათ სათქმელი. და დრო არა ჰქონდათ. ასეთია წუთი სოფლის სისწრაფე: შეუშინველად მიდის, არავის არ უცდის.

ანდრეამ ვერის ხიდისაკენ დაუხვია. ბერუამ კი დიდი მთავრის ქუჩაზე გასწია თავისი ნიკორათი იარმუკისაკენ.

## II

ბერუამ და ნიკორამ როგორც იყო ჩააღწიეს შუა ქალაქში.

ჩოდრებმა და ვაქრებმა, თითქო სუნით გაიგესო, მაშინვე გარს შემოეხვიენენ.

— რა მოგცე ე გადამღრძვალ „საკალბასეში“?—შეევაკრა ბერუას ერთი მსუქან-მსუქანი ყასაბი და ნიკორა თავიდან ბოლომდინ აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— ოთხ თუმან ნაკლებ არ მივცემ,—მიუგო ბერუამ. ყასბებმა გაღიხარხარეს.



— დასთელი-კი, შე საწყალო, ოთხ თუმანსა? ოთხი თუმანი ორმოცი მანათია, იცი შენა?—გაზვიადებითა და დაცი-ნვით უთხრა ყასაბმა.

— ძალიან კარგად ვიცი, რამდენიც არი,—იწყინა ბერუამ:—შენ შენი ფასი თქვი.

— რა უნდა ეთქვა? მიმაცხოვრებულო, ისეთ ფასს იძახი, რო... სანაძლეოს დაედებ: თუ შენი კამეჩი, ოთხი თუმანი ზურგზე რომ დაეაკრა, ნავთლულის საყასბომდინ ჩაიტანს... თორმეტ მანათს მოგცემ.

სხვა ვაჭრებმა პირი შეკრეს და პირველ ყასაბს აღარ შეეცილენ ჩვეულებისამებრ.

— რაში აძლევ თორმეტ მანათსა? ერთი თუმნის მეტი არა ღირს... ვერ ჰხედავ, ქელიც წამხდარი აქვს, ბარძაყზე ტყავიც გადაჰგლეჯია.

— მოიტა ხელი, კაი ფასს გაძლევ, მე და ჩემმა ღმერთმა!—ძალათი გამოუშალა ყასაბმა ბერუას მუჭა და ჩაუღო ფული.

ბერუა განზე გადგა.

— ნაკლებ არ მივცემ! თქვენ უნდა ეს ძროხის ხორცის ალაგას გაყიდოთ. მე განა არ ვიცი... ხუთ მანათს დაეაკლებ, და მეტს არა.

— დაიჭი ერთი მანათიცა. აჰა, ცამეტი მანათი მოგდის. სხვა რაღა გინდა? მეტს არაფერს მოგცემს. გამოშალე ხელი!—არ უშვებდა ყასაბი.

— მიეცი, მიეცი! კაი ფასს გაძლევს, რჯულის მადლმა. არ დაკარგო მუშტარი,—ურჩევდნენ ბერუას აქეთ-იქიდან ყასაბის ამხანაგები.

— არ მივცემ ნაკლებ, არა... სამი თუმანი იყვეს თქვენი ხათრითა. ღმერთმანი, ოთხ თუმანად მინდოდა გამეყიდნა. გზაში სულ აგრე ვფიქრობდი. მაგრამ, რაკი აღარ შეშვებით, სამი თუმანი იყვეს.

— მიეცი ერთი მანათიკა, მოუმატე, არა უშავს-რა: საწყალი კაცია. თოთხმეტი მანათი გაუხადე!—სთხოვეს ახლა ყასაბს შუამავლებმა.

— აჰა, ეგეც თოთხმეტი მანათი. თქვენი ხათრითა, ქრისტეს მადლმა, თორემ არ მიეცემდი,—დაამუნათა განგებ ყასაბმა ამხანაგებს.

— ღმერთმანი, ცოდო ვარ. გზაში სულ ოთხ თუმანსა ვფიქრობდი,—უარობდა კიდევ ბერუა.

გამოცდილმა ვაჰარმა შეატყო, რომ თითო მანათის მომატება იწვევდა ბერუასაგან ხუთი მანათის დაკლებას. ამიტომ უცებ უთხრა.

— დაჰკარ ხელი!

ბერუამ დაჰკრა.

— პატიოსანი კაცი ყოფილხარ, მე და ჩემმა ღმერთმა, რაკი ხელი ხელს დაარტყი: ახლა სიტყვიდან აღარ გადახვალ... გამოშალე ხელი!

ბერუამ გამოშალა.

— ეს ერთი... ეს ოთხი... ეს ცხრა... ეს თორმეტი... ესეც თხუთმეტი... ღმერთმა ისე მოგახმაროს, როგორც შენი გული სთხოვდეს!—უთხრა ყასაბმა და დიდის ამბით ჩაუთვალა მუქაში ერთი ცალი თეთრი მანათიანი, სამი—სამ-სამ მანათიანები და ერთიც ხუთ-მანათიანი ჭალაღდის ფული.

ბერუას ხელის დარტყმისა შერცხვა. ველარაფერი აწამა და გულნაკლულად უთხრა:

— აგაშენოს ღმერთმა!

მერმე ჩაილიაგა თხუთმეტი მანათი ქისაში და გამოეფხოვა ნიკორას.

ნიკორა უყურებდა მიმავალს, დიდი ხნიდან ქირსა და ლხინში მოზიარე პატრონს. ეგონა-კიდევ მოხედავდა; მაგრამ ბერუას ნიკორასაკენ აღარ მოუხედია.



## III.

ყასბებმა ნიკორა ატარეს, ატარეს და დაღლილობისაგან და შიმშილისაგან არაქათ-გამოღეული ვაი-ვაგლახით ნავთლულში ჩაიყვანეს. ვინ მოსთელის, რამდენი სახრე დაარტყეს გზაში.

საყასბოს უშველებელი, პირ-დაღებული ალაყაფის კარები რაღაც საზარლად გამოიყურებოდა. შორიდან ისმოდა დასაკლავად გამზადებულ საქონლის გულსაკლავი ზმუილი. თითქოს ყველანი გრძნობდნენ თავიანთ საშინელ ბოლოს.

ნიკორას გულმა ახლა კი შიში იგრძნო. არასოდეს კანკალი არ დამართვია,—მაშინაც კი, როცა ერთხელ ტყეში მარტოს ოთხი მგელი დაეხვია და არც ერთი ახლოს არ მიიკარა. ადამიანებმა კი, „ღვთის მლოცავმა“ ადამიანებმა საზარელ ყოფაში ჩააგდეს ნიკორა.

კარებში შედგა და აღარ მისდევდა შიგნით ახალ პატრონებს. იმათში ბერუას სახისა არც ერთი არ ერია: ყველა ეუცხოვებოდა; სულ სხვანაირად ეჭვენებოდნენ. ისე ექცეოდნენ, როგორც უსულო შეშას: წინიდან ეწეოდნენ; ზოგნი ზურგიდან აწვევებოდნენ.

ბოლოს, როგორც იყო, შეაგდეს ეზოში. მიიყვანეს მტკვრის პირას და შეუდგნენ ძველთაგან გადმოცემულ მცნების ასრულებას.

დანას პირი გაუღესეს. შემდეგ რქებზე თოკი მოაბეს, შემოახვიეს და უნდოდათ წაექციათ.

ნიკორა დარწმუნდა. რომ რაღაცა კარგს არ უპირობდნენ. შიშისაგან დაწვა და თრთოლამ აიტანა. ფრთვინავდა, ცახცახებდა. ეგონა შეიბრალებდნენ, მაგრამ, როცა ნახა, რომ ზედ წაწვნენ, ისევ მალე წამოდგა.

ნიკორას უცებ შიში და შიმშილი საღდაც დაეკარგა. ოდესმე რომ ნარწყავ მინდვრის ხნულში ღერძამდე ჩაფლული

ძნით დადებულ იურემი თავის მეგობარ „ლომისთან“ ერთად ბერუსაგან ხალის-მიცემულს და აღფრთოვანებულს ქედით შშრალზე ამოუზიდნია, თითქო ის ღონე იგრძნო ახლა იმ დიდ სხეულში: გაძალიანდა, მიიწ-მოიწია და, როგორც მსუბუქი მომაკვდავები, ისე მიყარ-მოყარა ჯალათები აქეთ-იქით.

საცოდავი ყასბები თოკებს ველარ იმაგრებდნენ ხელში.

ამ ბრძოლას დაჰყურებდნენ მოწმეებად: ლურჯად მოწყ-რიალე ცა, კაშკაშა მზე, ყორნები და ბელურა ჩიტები. მოდუდუნე შტკვარი კი თითქო ყურს არ უგდებდა და თავისთვის მიდიოდა ქვევით ერთხელვე დაჩემებულ გზაზე.

— ცული მოიტანეთ, ჩქარა! — დაიძახა ერთმა ყასაბმა.

ნიკორა ამაოდ ეძებდა მშველელს. ბერუამაც და ლომამაც კი უღალატეს ამ გაქირვების დროს.

— ნოე—ეეე!\*) დაიყროყინა ბოლოს განწირულებით ნიკორამ.

მაგრამ მხსნელი კიდობანი არსადა ჩანდა. წარღვნა ემუქრებოდა დანთქმას.

#### IV

ბერუამ დაუხვია ქვევით, ბაზრისაკენ, ქალამნებისა და აბურების საყიდლად.

რამდენსამე დუქანს რომ გასცილდა, უცებ ერთმა თვრამეტ-ცხრამეტი წლის შავგვრემანმა ბიჭმა გააჩერა:

— გამარჯვება, ძია-კაცო! თითქო როგორღაც მეცნობი. შენი სახელი დამაფიწყდა...

— ბერუა ფუქიაშვილი ვარ, სოფელ წოდორეთიდან, — გულ-ახდილად მიუგო მოხუცმა.

\*) თქმულებაა; ვითომც, ნოემ რომ კიდობანში ცხოველები ჩასხა, კამეჩის ჩასმა დააფიწყდაო. როცა წარღვნის ღვართქაფი მოვიდა, შეშინებული კამეჩი ცურვით გამოუდგა ნოეს და ეძახდა შეწუხებული. „ნოე, ნოე“-ო მანამდი კამეჩი უზმო იყო და მხოლოდ მას შემდეგ არის, რომ „ნოე“-ს იძახის.



— აკი ვთქვი, გიცნობ-მეთქი. საიდან სად მოხვედრიყავიყავი  
ცი კაცსა. რამდენი ხანია ჩვენი სოფელი აღარ მინახავს: სულ  
გადამავიწყდა იქაურობა, — უთხრა გახარებულ კილოზე შავ-  
გვრემანმა და დაუძახა იქით კუთხეში მდგომარე ქერა კაცს,  
რომელიც ამას უცდიდა.

— სიკო, სიკო! აკი გითხარი, მეცნობა-მეთქი. ჩვენებუ-  
რი ყოფილა. მოდი ვაგაცნო...

ქერა კაცი მოვიდა და ბერუას ხელი ჩამოართვა.

— ეს ჩემი საუკეთესო ამხანაგია, — უთხრა შავგვრემანმა  
ქერაზე.

ბერუამ ქერა იცნო.

— შენ იქა გნახე, ყასბები რომ ნიკორას მეგაქრებო-  
დნენ.

ქერა ცოტა აირია და უთხრა:

— განა არა: გიყურე, გიყურე და აზრზე ვერ მოვედი...  
სხვა ხომ მშვიდობითა ბრძანდებით? როგორი მოსაჯელია სო-  
ფელში?

— მადლობა ღმერთსა, არის რალა: ალაგ-ალაგ არა უშავს-  
რა. ზოგან ძალიან მოსცდა...

ამასობაში შეუნიშნავად იქვე ახლო ერთ ღვინის სარ-  
დაფთან გაჩერდნენ.

— მობრძანდით, არაყი მიირთვიო! — სთხოვა ბერუას შავ-  
გვრემანმა.

— ცოტა მეჭკარება; რად შეგაწუხოთ, — ყოყმანით უთხ-  
რა მოხუცმა.

— შეგაწუხო რომელია. ღმერთმანი, შენი ნახვა ისე  
ძალიან გაგვებარდა. ხელად თითო რამეს დავლევთ! — დაუჭი-  
რა ქერამ ხელი და თითქმის ძალით ჩაიყვანა სარდაფში.

— ჭკუისას მიირთმევ, თუ ჰურისას? — ჭკითხა ბერუას შავ-  
გვრემანმა.

— რასაც თქვენ მიირთმევთ, მეც იმას დავლევ.

— სამი ღიღი არაყი დაასხი ჭკუისა! — უთხრა ქერამ დახ-  
ლიდარს.



მიკიტანმა კიკები გაავსო.

შევგვრემანმა და ქერამ სავსე კიკები ორივემ ერთად აი-  
 ლეს ხელში და ბერუას კიკას მიუხალეს.

— აბა, ბერუავ, გადაჰკარ! სიმწარე გაშოროს, სიტკბო  
 მოგცეს. იცოცხლე დიდხანს!—დალოცეს ბერუა და დაცალეს  
 კიკები.

— მადლობელი ვარ, შეიღებო. თქვენი პურ-მარილი  
 არ დამაფიწყოს... გაგიმარჯოთ ღმერთმა!—მოიხადა მადლობა  
 ბერუამ და დაცალა კიკა. შემდეგ ამოიღო ქისა და დაუწყო  
 მძიმედ ხსნა.

— არა, შეიღო, სულ რო თქვენ დახარჯოთ, სეინდისი  
 არ აიტანს. ერთი ჩარეკი ღვინო ჩემ „ჩოთქში“ მოიტანე!—  
 უთხრა მიკიტანს და მისცა ფული.

— მაშ, აი, იმ სტოლთან დავეხდეთ,—სთქვა ქერამ.

სამივენი კუნკულში მაგიდას შემოუსხდნენ.

მაღე ერთ ჩარეკას მეორე მოჰყვა, მეორეს—მესამე და  
 კარგად შექეიფიანდნენ.

— შენ, შეიღო, სიკო, ქალაქელი ხარ?—ჰკითხა ბერუამ  
 ქერას.

— ქალაქელი ვარ,—მიუგო იმან.

— შენა, შეიღო?—მიუბრუნდა ახლა შევგვრემანს:—რა-  
 ტომ არ მეუბნები, ჩვენი სოფლიდან ვისი გვარისა ხარ? ნა-  
 ცვლიანთი ხომ არა ხარ? იმათა ჰყავთ პატარაობიდანვე ბი-  
 კი ქალაქში.

— გცოდნია, ძია-კაკო: რაღა უნდა გითხრა. სიკო უცებ  
 წამოდგა:

— რა უნდა გითხრათ. ხელად ავირბენ: აქვე გვერდზე  
 ჩემი ნაცნობი მეთევზეს დუქანია. ახალი თევზი აქვს. გამო-  
 ვართმევ და ჩამოვარბეინებ.

— რაღას უყურებ, შე ოხერო: მალე, არ დაიგვიანო! —  
დააჩქარა ამხანაგმა.

სიკო გაიქცა.

— ერთი ვნახო, ძველი არა გამოართვას-რა, — სთქვა შავ-  
გვრემანმა და გაჰყვა ისიც სიკოს.

ბერუა დარჩა მათ მოლოდინში. გულში ფიქრობდა:

— ე რა კაი ნაცნობები გამომიჩნდნენ... თუ ეგენი ჩემი  
ბიჭის, გიგას ქორწილში არ დავპატიე, არ იქნება. ახლავე  
პირობას ჩამოვართმევ, რომ არ მილალატონ... რა დემარ-  
თათ, რა ვქნა: აქამდინა მარტოკას თავი რად დამანებეს!..

ბერუა გაბეზრდა ლოდინით.

— ერთი ფულები მაინც დავთვალოთ, მანამ ჩამოვლენ.  
აპეურებსა და ქალამნებს რომ ვიყიდი, ვიციოდე, შინ რამდენ-  
ნი კიდევ მიმყვება.

ჩაიყო ჯიბეში ხელი და ხელი გარედ გაჰყო. ორივე ჯი-  
ბე დაქრილი ჰქონდა.

ბერუას ღვინო სულ გამონელდა.

— ვაიმე! — წაიშინა თავში. — აკი გამქურდეს ი ვილაცე-  
ბი იყვნენ! როგორღა ვეჩვენო სოფელში? როგორ მომატ-  
ყუეს! კაცი დავბერდი, ათასი ამისთანა ამბავი გამიგონია და  
მანამ თავზე არ გადამხდა, არ დავიჯერე... ვაიმე, ნიკორას  
ფულებო! რაზე ოთხ თუმანს მომცემდნენ! — ხომ სულ ერთია:  
ამომაცლიდნენ და უფრო დამენანებოდა...

ამ წუხილითა და მოთქმით მივიდა მიკიტანთან და ჰკითხა:

— ახლა რა ჩემთან ღვინოსა სვამდნენ, ხომ არ იცნობთ:  
ვინ იყვნენ ისინი?

მიკიტანმა გაკვირვებით შეხედა:

— ვა, შენთან ღვინოსა სვამდნენ, და მე მკითხავ? მე რა  
ვიცი, ვინ იყვნენ!..

— ნიკორას ფულები მქონდა, თხუთმეტი მანათი. როცა  
 ჯიბეები დაუჭრიათ და საცალა გაიქცნენ. ერთ ჯიბეში ფუ-  
 ლი იყო, მეორეში—ჩიბუხი და თამბაქოს ქისა.

— მორჩა!—არხენად უთხრა მიკიტანმა,—შენ იმათ ვე-  
 ლარ იპოვნე: ვირი დაუბამთ... კარგია, რომ ღვინოში წინ-  
 და-წინ გამისწორდით: ახლა რა უნდა მოგეცა ჩემთვის?..

— ვაი, ვაი, ვაი! —იქნევდა თავს გულდამწვარი ბერუა და  
 მიდიოდა წელ-მოწყვეტილი წოდორეთის გზაზე.

გ. თემისხვეელი.





## ზორსა ვარ



ორსა ვარ... უცხო ქვეყანას,  
 უცხოთა შორის, ეული;  
 თავზე მეველება მარად ჟამს  
 მწარე ოცნება, წყეული.

თვალწინ შიდგია ერთთავად  
 სამშობლოს არემარეო,  
 მისი ლაქვარდი კამარა,  
 ვარსკლავი, მზე და მთვარეო.

ხშირად გადმოცერი კრემლებსა,  
 ამიკენესდება გულია;  
 ჩამეფერფლებსა სრულიად  
 სიამე, სიხარულია.

აზრი შეისხამს მაშინ ფრთებს,  
 მიჰქრის სამშობლო მხარეში,  
 დიდხანს სეირნობს მის მკერდზე,  
 მის კოხტა არემარეში!..


მაგრამ კვლავ გამოვერკვევი,  
 ირგელივ ხრიოკი ველია,  
 კვალად დამიწყებს გულის ღრღნას  
 შხამ-გესლიანი გველია...

ოჰ, ჩემო ტურფა სამშობლოვ,  
 როდის ვეწვევი შენს არეს?  
 როდის დავკოცნი გულწრფელად  
 შენს მთა-ველს, შენსა მდინარეს?!

შორსა ვარ... უცხო ქვეყანას,  
 უცხოთა შორის, ეული,  
 თავს შევლებიან სუ მუდამ  
 მწარე ფიქრები, წყეული!..

დ. ელიოზიშვილი.





## კაკლის ხე

რიცრაეა, მაგრამ მზის სხი-  
ვებს ჯერ არ გაუღვიძნია,  
თუმცა დიდი ხანია ტორო-

ლა ტკბილი გალობით მიეგება განთიადს. ბაღიაში ცელქი ნა-  
კადულიც განაბული მიიპარება და ფრთხილობს, რომ არ  
დაუფრთხოს ძილი ნაპირზე მდგომ ყვავილების გუნდს, მაგ-  
რამ ვერ იკავებს თავს: პატარაა, ცელქი; ნაფარდი უყვარს,  
სისხლი უღულს.

აგერ გაქანდა აქაფებული, ჩახტა ჩანჩქერში, ჩაიხბრიალა  
და ტკბილი ჩურჩულით, სიმღერა-გალობით განაგრძო გზა  
შეუფერხებლივ.

ყვავილებს თვალები ღია დარჩათ, შესცინეს ნაკადულის  
ზვირთებს, ჩაიხედეს მის წმინდა სარკეში და დილის ცვარ-  
ნამით ხელ-პირი დაიბანეს. გრილმა სიომ ქოჩორი გადაფარ-  
ცხნა; ბულბულმა-კი, მათ ეშხით დამთვრალმა, დაბნედილმა,  
ჩამოჰკრა ჩანგს, ააკვნესა, აამეტყველა, ცხარე ცრემლები დაა-  
ფრქვია ყვავილს ლოყახე და ცრემლთა კრიალოსანი მოახვია  
ტურფა ყელზე.

ვარდი შეკრთა, შერცხვა, გაწითლდა, მაგრამ მაინც აი-  
ლო თავი მალა ამაყად, წელში გაიშალა.

მზე მაინც არ ამოდია: მიმალულიყო შავ ღრუბელ-  
ქვეშ და არ იღებდა მონაწილეობას დილის მეჯლისში. იქვე  
ლობის წინ, უშველებელ ხევ-ღრეში—ას-წლოვანი კაკლის

ხე, მებისაგან შუაზე გაჩეხილი, დაბერებული, ზედა-წილში  
ლი, გაყვითლებული, ბუნების მეჯლისს „ვაშა, ვაშას“ შეს-  
ძახოდა, მაგრამ ის-კი არ იცოდა, რომ დღეს უკანასკნელი  
დღე იყო მისი სიცოცხლისა: დღეს უნდა გამოსთხოვებოდა  
ბუნებას, მთა-გორებს, მინდორ-ველს, ზევით ცას და ძირს  
დედამიწას.

უნდა მოექრათ კაკლის ხე.

აგერ გამოჩნდა ადამიანიც ცუდით ხელში, ღიღინით მიუა-  
ხლოვდა ხეს და დაუწყო ძირში ჭრა. დაღონდა კაკლის ხე.  
ეს-ეს არის გადიქცევა და შთაინთქმის ძირს, ღრმა, უშველე-  
ბელ უფსკრულში; გაჭკრება იმისი სახელი, და მისი ნაადგი-  
ლვევის კვალიც აღარ დარჩება.

აგერ კიდევ გადასჭრეს. გრილით ძირს, ძირს დაეშვა  
და იქ მშვიდად დახუჭა თვალები.


სიომ დაჰბერა. ღრუბელთ გროვა შორს, შორს გაჰფანტა.

მზემ გამოანათა და მოჭრილ კაკლის ხეს ოქროს სხივები  
შემოაფანტა.

გავიდა დრო. გათბა დედამიწა, ნელ-ნელა შეინძრა და  
ნორჩი, ძალ-ღონით სავსე, ძველ კაკლის ხის ალივას აღმოა-  
ცენა ახალი, მშვენიერი, პატარა ღერო.

— აბა, მეც მომჭერიო! — ახლავე გულადობს ნორჩი მცე-  
ნარე.

არჩილ იანჭო.





# ჩ ი ტ ი.



უშინ ჩამოუშალეს  
ბუდე მზაკვარ ხელითა,  
დაუხოცეს ბარტყებიც  
ველურ საქციელითა.

როცა უკან დაბრუნდა  
სალამო ეამს ბუდეში,  
ველარ ნახა წინანდებრ  
სიამე და ნუგეში.

იქვე შტოზე ჩამოჯდა  
ბუდის სიახლოვესა;  
მთელი ღამე იდარდა,  
იოხრა და იკვნესა.

მაგრამ ბაგე გააპო  
განთიადმა მთებისა;  
მიეგება მას მღერით  
გუნდი ფრინველებისა.

მგლოვიარეც ბუნებას  
თვისას ვერ დაერიდა  
და სხვებზევით განთიადს  
მიეგება მღერითა!

ი. მჭედლიშვილი.







## ხრისტაგანი და ბელთაგანი

### ტარიელები<sup>\*)</sup> არაკი.

(ხალხური ზღაპარი)



ყო ერთი ხელმწიფე და ჰყავდა ერთი ქალიშვილი. მის უკეთესი ცასა და დედამიწას შუა არაფერი დაიბადებოდა. ამ ხელმწიფეს ღამით დაეცა რაღაც და მისი ქალი მოსტაცა. დაედევნენ, ბევრი ეძიეს, მაგრამ ვერაფერი ვერ ნახეს.

ამ დროს ცხოვრობდა თურმე ერთი ტყისკაცი, რომელსაც ღეთისადმი პირობა ჰქონოდა მიცემული: თავის დღეში კაცთან არ გამოსულიყო და მარად ტყეში ყოფილიყო. მიწა-ადგილი ჰქონდა თავისათვის მიჩენილი, რადგან გარეშემო მოსაზღვრეები დევები ჰყავდა და მათ ხეებს არ აძლევდა მოსაპრელად. ისეთი ღონიერი კაცი იყო, რო ყველა დევებს მისი ეშინოდათ.

ერთხელ ეს ტყის-კაცი წავიდა თვისი ადგილის შემოსავლელად: დევებმა ხომ არა გააოხრეს რაო. ერთის მხრით წყლის პირი იყო. ამ წყალს გაჰყვა. მზეც ჩასვლას დაეპირა. წყალს რო დახედა ტყის კაცმა, სისხლად შეღებილი ნახა. გაუკვირდა: „ეს წყალი თეთრი იყო, ახლა რა არის—წითელი როა, ეს უნდა ვნახოო!“ შეჰყვა წყლის პირს და დააღამდა. ერთ ადგილს მიაღწია და ნახა, რომ ორი დევი ერთმანეთს ეკიდებიან. თურმე ამათი სისხლით ყოფილა შეღებილი წყალი. გაღმა რო გაიხედა, დაინახა: დვას ნაპირზე რაღაც მზესავით

\*) ტარიელი მეგრულად ნიშნავს გმირს, ვაჟკაცს.



მოელვარე. ტყის-კაცი მივიდა დევებთან, იძრობდა მათ და მოუქნია, ორივე დასკრა და წყალს მისცა წასაღებად. ამ დროს გაღმიდან დაუძახა იმან, მზესავით რო ბრწინავდა: ქრისტიანი ხომ არ ხარო?

— არ შეგეშინდეს, — უპასუხა ტყისკაცმა, — მე ქრისტიანი ვარ და შენ კი ვინა ხარ, მითხარო!

— მე ვარ ხელმწიფის შვილი. შენ რო მოკვალი, იმ დევმა მომიტაცა და აქეთ წამომიყვანა. ამ წყალთან მეორე დევი დახვდა და ჩემი წართმევა დაუპირა. იმ დროს იყო, შენ რო მოუსწარ, ჩხუბობდნენ და დაჰხოცეო.

ტყისკაცმა უთხრა ხელმწიფის ქალს:

— მე ღვთისადმი მაქვს პირობა მიცემული, რომ ტყიდან არასდროს არ გამოვიდე. მინდორში გაგიყვან და შემდეგ შენ სახლში წადიო.

მაგრამ ქალმა უპასუხა, შენი დაშორება არაფრის გზით არ შემიძლიაო.

ტყისკაცმა წაიყვანა ქალი თავის სამყოფ ადგილას და იწყეს ერთად ცხოვრება. გავიდა ნახევარ-წელიწადი. ქალი დაორსულდა. ბავშვის დაბადების დრომაც მოატანა. ტყისკაცმა უთხრა ქალს:

— მე მარტო ვარ ამ ტყეში. შენ რო დაწვები, კაცი გინდა ხელის მომწყობი. მე არაფერი არ შემიძლიაო.

— მე შენთან უნდა მოვკვდე: სხვაგან ვერსად ვერ წავალო, — უთხრა ქალმა; მაგრამ ტყისკაცმა არ დაუჯერა:

— შენ უნდა შენ სახლში წახვიდე. მე ტყიდან გაგიყვან ღამით და შენი სახლის ახლოს მიგიყვანო.

ქალს რა უნდა ექნა: — კარგო, უთხრა.

წაიყვანა ტყისკაცმა ღამით და მისი სახლის ახლოს დასტოვა. ამოიღო ჯიბიდან ერთი ბეჭედი, მისცა ქალს და უთხრა:

— შენ დაგებადება ვაგი; სახელად ხრისტაგანი დაარქვი. ეს ბეჭედი მაშინვე მარჯვენა ხელის თითზე წამოაცვი: მისდღეში არ წამოიძროს, სულ თითზე ჰქონდესო.

ტყისკაცი დაბრუნდა თავის ადგილას. ქალი მშვენიერად ვის სახლში. დედ-მამამ რო დაინახა, გაეხარდათ:—ჩვენი შვილი მოსულაო.

მეორე დღეს გამართეს დიდი წვეულება; ბევრი კაცი ჰყავდათ დაპატივებული. შუადღისას ჭალს მუცელი ასტკივდა; დააწვინეს ლოგინად და ეყოლა ვაჭი. დედამ თქვა:—ამის სახელი ხრისტაგანი იყოს, რადგან ამისმა მამამ ასე დამაბარაო. ყველა თანახმა გახდა. მამის ბექედი მარჯვენა ხელის თითზე წამოაგეს. გავიდა სამი თვე. ბავშვი კარგ ღონიერად ნახეს. ხელმწიფეს გაეხარდა: „ეს ვილაც ურიგო კაცის შვილი არ უნდა იყოსო“.

ამდენი რა გავაგრძელო: ბავშვმა მინდორში თამაში დაიწყო სხვა ბავშვებთან. ერთ დღეს თვის ბაბუა-ხელმწიფეს უთხრა:

—გამიკეთებინე მშვილდ-ისარი, ორივე ფოლადის; ისეთი, რო წონით ორასი ფუთი იყოსო.

—ძალიან კარგიო.—უპასუხა ბაბუამ. თუმცა შვილი-შვილის ასეთი სურვილი ბაბუას არ მოეწონა, მაინც გააგზავნა კაცი მქედელთან. გამოქედა შვილდ-ისარი, მაგრამ მისი მოტანა საძნელო შეიქმნა. გააგზავნა ხელმწიფემ კამეჩები ურმებით, და დიდის ცდით მოიტანეს. როდესაც ეზოში შემოვიდნენ, ბავშვმა დაინახა, გაიქცა, მიეგება ურემს, მოჰკიდა ხელი მშვილდ-ისარს და უცებ აიღო. ყველას გაუკვირდა: „ეს ფარსავი კაცი არ იქნებაო“!

ხრისტაგანმა დაიკავა ხელში ისარი და ზევით აისროლა. უმზირეს სხვა კაცებმა, მაგრამ თვალიდან დაეკარგათ ისარი, ისე მაგრად გაესროლა. ბევრი ხნის შემდეგ ისარი მიწაში ჩაიძრკო. ისარი რომ ამოეძროთ მიწიდან, სამოცი კაცი მივიდა, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ამ დროს გაიქცა ხრისტაგანი, მივიდა და თვისი ისარი უცბად აიტაცა. ეს რა ნახეს, ყველა ამბობდა: „ეს უნდა იყოს ტარიელების ბატონიო“.



ხრისტაგანმა დაიწყო სანადიროდ სიარული. ღამეში  
 ღამე არ იქნებოდა, სხვა-და-სხვა ნადირი არ მოეჩანა. ახლა  
 სრულიად გაიზარდა ხრისტაგანი. მისი ყველას ეშინია, რად-  
 გან იმის მზგავსი მაგარი ბავშვი ღღემდის არავის ენახა.

ერთხელ ხრისტაგანი წაეიდა სანადიროდ. იარა ბევრი,  
 მაგრამ ვერაფერი მოჰკლა. საღამოს დაბრუნდა თვის სახლში.  
 შარას რო შეწუხებული მოდის, გაიხედა ერთი მინდერისაკენ  
 და დაინახა, რომ ქალს მხარზე უდგია წყლით სავსე ფოხალი.  
 ხრისტაგანმა იფიქრა: ამა ეს ფოხალი მხარზე თუ დავატებო.  
 ესროლა ისარი, მოარტყა ფოხალს და გასტეხა. ქალი გაიწუ-  
 წა. მიბრუნდა და უთხრა ხრისტაგანს:

— დედა-შვილო, ჩემი ფოხალი რომ არ გატებო, სხვა  
 ვერაფერი იშოვე სასროლიო? ახლანდელმა ბავშვებმა ხელზე  
 ბეჭდის წამოცმა იცით; ეს სხვა ძველმა ტარიელებმა არ იცო-  
 დნენო.

ხრისტაგანმა არა უთხრა რა. წამოიძრო იმ წამს ბეჭედი  
 და ჯიბეში ჩაიდვა. მოვიდა თვის სახლში. იმ ღამეს გულ-ჯავ-  
 რიანმა დაიძინა. მეორე დღის წამოდგა, საკმელი ქამა, დე-  
 დას დაუძახა, აქ მოდიო. დედა მივიდა.

— ერთს გკითხავ, და არ დამიშალო: უნდა მითხრა, ვინ  
 არის მამა ჩემი.

დედა შეწუხდა, მაგრამ რა უნდა ექნა? უთხრა:

— მამა-შენი ტყის კაცია. ის მუდამ ტყეში ცხოვრობს.  
 ღვთისადმი პირობა აქვს მიცემული, რო კაცს არ ეჩვენოს.

— საით არისო?— ჰკითხა ხრისტაგანმა.

დედამ უთხრა:— ამა-და-ამ მხარესაო, — და თითოთ აჩვენა.

მონახა ხრისტაგანმა თვისი რაში, რომელზედაც ჯერ არა-  
 ვინ მჯდარიყო. გამოიყვანეს რაში ჯაჭვებით. მივიდა ხრის-  
 ტაგანი, გადაუსვა ხელი და უცებ უნაგერი მოადგა. აილო  
 თვისი მშვილდ-ისარი და სახლში დაიბარა: „მამა-ჩემის საძებ-  
 რად მივდივარო“.

შეაჯდა რაშს, მოუქნია და წავიდა ზევით-ზევით. აქედან იმ ტყის ახლოს დაასკუპა ცხენი. შევიდა ტყეში, ეძია მამამისი, მაგრამ ვერა ნახა. მამა მისი თურმე დევებს გაჰკიდებოდა, რადგან მათ ხეები დაეობრებინათ. აქეთ რო მობრუნდა ტყის-კაცი და მოდის, შეხედა, რაში ტყეში ბალახობს და ვაჟი თავისათვის დასეირნობს.

— ჰეი! რა კაცი ხარ?—დაუძახა ტყის-კაცმა,—ვინა ხარ, რო ჩემ ტყეში შემოსვლა გაბედეო?

— მე ვარ, რა გნებავს? მობძანდი, თუ რამე შეგიძლიაო,—დაუძახა ხრისტაგანმა.

— ჩემი წამოძახება ხრისტაგან--ტარიელის მეტს სხვას ვერ უნდა გაეხედნაო,—დაუძახა ტყისკაცმა.

მაგრამ ხრისტაგანმა ჭარ იკადრა სახელის თქმა, აილო თვისი ისარი და სტყორცნა ტყის-კაცს. ტყის კაცმა ხელით დაიქირა ისარი. უყურა ხრისტაგანის ხელს, მაგრამ ბეჭედი ვერ შენიშნა: „ეს ჩემი შვილი არ უნდა იყოს, თორემ ხელს ბეჭედი ექნებოდაო“, იფიქრა. მოიმარჯვა ტყის კაცმა მშვილდ-ისარი და ესროლა. მოხვდა ხრისტაგანს. წაიქცა და სული განუტევა. მოვიდა ტყის-კაცი, დააკქერდა მკვდარს, ხელები გაუსინჯა, მაგრამ ბეჭედი ვერ იპოვა. „ეგებ ჯიბეში რამე ედვასო“, იფიქრა მან. ჩაუყო ხელი ჯიბეში და ამოუღო საფულე. გახსნა, ამოიღო ქალაქში გამოკრული პატარა ნივთი. გახსნა ქალაქი და დაინახა მისი მინაცემი ბეჭედი. ერთი დაიღრიალა და თავი ხეს ახეთქა. წაიქცა ხე. მეორე ხეს დაეტაკა,—მეორე წაიქცა, მესამე... და ასე სულ დააგო ტყე. მობრუნდა ისევ ხრისტაგანთან, წაიშინა თავში ხელი და კიდევ შეჰბლავლა. ტირის ტყის კაცი განუწყვეტლივ და თავს ხეებს ახეთქებს. დევებს შეეშინდათ.. „ეს რალაც კარგი ამბავი არ უნდა იყოსო“,—თქვეს და ყველანი სხვა ადგილებში გადაცივდნენ.

ტყისკაცი უფრო და უფრო მეტს ბლავის, ისე რომ ღმერთმა გაიგონა ტყისკაცის ღრიალი. დაუძახა ღმერთმა



მტრედს და უბრძანა: „წადი ნახე, რა არი, იმ კაცს რომ უჭირსო.“

წამოვიდა მტრედი, ნახა: მკვდარი მინდორზე ძევს; ერთი კაცი შივა ახლოს, წაიშენს თავში ხელს, დაიწყებს ბლავილს, არტყამს ხეს თავს, წაიქცევა ხე და აქეთ-იქით ხეებსაც ანადგურებს. შემოლევია ახლო-მახლო თავის მოსარტყამი ხეები. თუ რას შვრებოდა ეს კაცი, ყველაფერი ნახა მტრედმა. ისე უფრთხილდებოდა ტყისკაცი მკვდარს, რო ზედ ბუზიც ვერ გადაიფრენდა.

წავიდა მტრედი და ყველა ეს ამბავი ღმერთს მოახსენა. ღმერთმა მისკა მტრედს ერთი ცხვირსახოცი და უთხრა: „შენ ეს წაილე ნისკარტით, მიდი მკვდრის ახლოს, დაუდარაჯე იმ კაცს: როდღესაც წავიდეს ხეზე თავის შემოსაკრავად, მაშინ ეს ცხვირსახოცი ზევიდან დააგდე მკვდარს სახეზე. შენ თავს გაუფრთხილდი“.

მტრედმა წაიღო ცხვირსახოცი, იშოვა დრო, დააფრინდა მკვდარს და ცხვირსახოცი სახეზე დააგდო; თითონ გაფრინდა. ტყისკაცი რო მოდის და მოღრიალებს, ნახა, მკვდარი ვაჟი ფეხზე დგას. გაექანა, ეტაკა, გადაკოცნა და ჰკითხა, —სახელი რა გქვიაო.

— ხრისტაგანიო, —უთხრა მან.

ახლა ყველაფერი გაიგეს ერთიმეორეს ამბავი, მამა და შვილი რომ არიან. ხრისტაგანი ბევრ ხანს დარჩა მამა მისთან. ბოლოს ტყისკაცმა უთხრა თავის შვილს:

— შენ ახლა შენ სახლში წადი და იცოდე ამხანაგად მოიკიდე ბელთაგანი-ტარიელი, რუფი-ტარიელის შვილიო.

გამოეთხოვენ ერთმანეთს. წავიდა ხრისტაგანი თავის გზას.

მიდის ხრისტაგანი თავის გზას და ფიქრობს: «შე ბელთაგანი-ტარიელი უნდა მოვძებნოო». შემოუქნია რაშს და ერთი ზღვის პირას გადაახტუნა. ვაყვა გზას, იარა, იარა ეს ღამე, დღია და მიადგა გზაჯვარედინს. ერთი გზისაკენ რო

გაიხედა, რაღაც ყვევის თავის ოდენა გამოჩნდა. იფიქრა, ნამდვილად კაცი უნდა იყოსო. გაუქნია რაშს, მიადწიეს ერთმანეთს. ჰაერი მოაწვა ხრისტაგან-ტარიელს, ისე რომ სიარულს უშლიდა. მაგრამ ხრისტაგანის ჰაერიც იქით აწვე-  
 ბოდა იმ მხრიდან მომავალ კაცს. ხრისტაგანმა იცნო: ნამ-  
 დვილად ეს უნდა იყოს ბელთაგანი-ტარიელიო. ბელთაგა-  
 ნიც მიზნდა: ნამდვილად ხრისტაგანი-ტარიელი უნდა იყოს,  
 იქედან რო მოდის, ისაო.

მიუახლოვდნენ ერთმანეთს, მაგრამ წინდაწინ გამარჯვება  
 არც ერთმა სთქვა, და არც შეორეშ. აუარეს გვერდი ერთმანეთს.  
 მობრუნდა ხრისტაგანი და დაუძახა:

— გამარჯვება, ძმაო, ბელთაგანო-ტარიელოო!

მობრუნდა ბელთაგანი და უთხრა:

— გაგიმარჯოს ღმერთმა, ძმაო, ხრისტაგანო-ტარიელოო!

ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი და გადაკოცნეს. დასხდნენ  
 ერთი ხის ჩრდილში, მოისვენეს და დაიწყეს ლაპარაკი... ბელ-  
 თაგანმა თქვა:

— ერთ ადგილას დევები მოსახლობენ. გარეშემო გალა-  
 ვანი აქვთ და რკინის კარები ჰკიდია. ეზოს ირგვლივ გარე-  
 დან ცხელი წყალი უდის ისეთი, რო რასაც მიესხმება, დას-  
 წევს. ამ დევებს ჰყავთ ერთი ისეთი და, რო მზე და მთვარე-  
 სავით ბრწყინავს. მაგრამ რა გამოვიდა? წყალში არ გაისე-  
 ლება; წყალში თუ გახვედი, ვალავანში არ შეისვლება; ეზოს  
 კარებში არ შეისვლება, მისთვის რო თითო კიშკარი ათასი  
 ფუთიანია.

— აბა, ძმაო, ბელთაგან-ტარიელო, წავიდეთ იმ ადგი-  
 ლას; რაც რო დაგვემართება, ღმერთთა მოწყალე, — უთხრა ხრის-  
 ტაგან-ტარიელმა.

ადგნენ ტარიელები, შეაჯდნენ თავთავის რაშებს, გაუ-  
 ქნიეს და მივიდნენ დევების ახლოს, სადაც ცხელი წყალი  
 ირგვლივ უვლის, — იქ. ბელთაგან-ტარიელმა უთხრა:

— აჰა, ძმაო, ეს არის ის წყალი. რით გაისვლიყავა აქეთ? —  
კენ?



— ჰე, ძმაო ბელთაგან, — უთხრა ხრისტაგანმა, — მე რო გითხრა ჰე, იმ დროს რაში, მათრახი დაჰკარი ისეთი, რომ უმწარესი არ იქნებოდეს.

ხრისტაგანმა მოჰკიდა ხელი ბელთაგანის რაშის კუდის ძირს და დაუძახა: — ჰე, ბოშო!

დაჰკრა ბელთაგანმა მათრახი რაშს. ამ დროს აიყვანა ხრისტაგანმა რაში კუდით და გაისროლა გაღმა. ბელთაგანი ამნაირად გაღმა ვახტა.

ხრისტაგანმა დაჰკრა მათრახი თავის რაშს და ვახტა გაღმა ნაპირს. ამ დროს დაღამდა. მივიდნენ გაღავენის პირთან და იმ ღამეს იქ მოისვენეს. დილით, როგორც-კი მზის სინათლე მოეფინა ქვეყანას, ადგნენ ორივე ტარიელები. ბელთაგანმა უთხრა ხრისტაგანს, — ახლა როგორ უნდა მოვიქცეთო.



— წამო, ძმაო, აქეთ! — უთხრა ხრისტაგანმა. წავიდნენ რკინის კარებისაკენ. მოჰკიდა ხელი ხრისტაგანმა, ორივე კარი მოჰგლიჯა. მაგრამ ამ დროს ღვევები გამოღვიძებული არ ყოფილან. როდესაც შუა ეზოში შევიდნენ, გაიგეს ღვევბმა, გამოცვინდნენ გარედ, მაგრამ ხრისტაგან-ტარიელი წავიდა წინ, იძრო ლეკური და დაერია ღვევს. ორივე ტარიელი საღამომდის სჭრიდნენ და ჟღეტდნენ ღვევს. ყველა გაწყვიტეს და ბოლოს სახლში შევიდნენ. ნახეს, კაცის თვალი უკეთესს რო ვერ ნახადა, ისეთი ქალიშვილი. ქალს შეეშინდა.

— არ შეგეშინდესო, — უთხრეს ქალს ტარიელებმა და დააიშედეს. ტარიელები დაწნენ ლოგინზე და მოისვენეს დაღალულებმა. მეორე დღეს დილით წამოდგნენ ტარიელები, საქმელი სქამეს, გაიარ-გამოიარეს, მაგრამ ბელთაგან-ტარიელს ყველაფერი შხამად მიაჩნდა, მისთვის რომ ეს ქალი შეუყვარდა. ამასთანავე ხრისტაგანისაც ეშინოდა: ეგებ მას უყვარდეს და მას უნდოდეს ცოლადა.

შუადღეზე სახლში შევიდნენ ტარიელები და ეს ქალიც დასხდნენ ყველანი. ხრისტაგანმა სთქვა:

— ძმაო ბელთაგან ტარიელო! ეს იყოს შენი ცოლი და ჩემი რძალი.

ბელთაგანს გაეხარდა; მაგრამ ქალს ცოტა ეწყინა, რადგან ხრისტაგან-ტარიელი უკეთესი იყო. ორი თვე ერთად იყვნენ. ხრისტაგანმა უთხრა ბელთაგანს:

— მე, ძმაო, ახლა უნდა წავიდე. თქვენ იცით, როგორ ჭკუიანად იქნებითო.

გამოუყვანეს რაში ხრისტაგან-ტარიელს. ბელთაგანის ცოლმა გამოიტანა აბგათი რალაც საქონელი, მისცა ხრისტაგანს ხელში და უთხრა:

— ამაში ძევს საშნაირი ტანისამოსი: ერთი — ოქროსი, მეორე — ყველაფერი ვერცხლისა და მესამე — ყველაფერი სპილენძისა.



გამოართვა ხრისტაგანმა აბგა და რაშს უკან მიაკრა. ამოილო ჯაყვა,\*) მისცა ბელთაგანს და უთხრა:

— შე, ძმაო, გაკირვებული ვიქნები, როდესაც ამ ჯაყვის პირი ასისხლიანდებაო.

გამოეთხოვენ ერთმანეთს. წავიდა ხრისტაგანი თავის გზას. ხრისტაგანმა მოუქნია რაშს და ზღვის პირს გადაახტუნა. შარას რო მიღის, ერთი დედაბერი დაიხანა და ჰკითხა:



ბ.ბ.ა.

— ეს სადაური სახელმწიფოაო?

— ეს შავი ხელმწიფის სახელმწიფოა, — უთხრა დედაბერმა.

— ამ ზღვას გაღმა რა არისო?

— ნანა-შვილო, — უთხრა დედაბერმა, — გაღმა თეთრი ხელმწიფეა. იქაურ სახელმწიფოს მცხოვრებლები ყველანი ვახარებული არიან. იმ ხელმწიფეს ჰყავს სამი ქალიშვილი.

\*) პატარა დასაყვი დანა.

ეს რო ვაიგონა ხრისტაგანმა, — მშვიდობით, დედა, — უთხრა დედაბერს და ვასწია. ცოტა რო წინ წაიწია, ხრისტაგანი ვადმოხტა რაშიდან; ამოიღო აბგიდან სპილენძის ტანისამოსი. თვისი ტანისამოსი ვაიძრო და სპილენძისა ჩაიცვა. შეხტა ზღვაში რაშით, მოუქნია და ვაღმა ნაპირს ვავიდა. ერთი დღის ვზა ვაიარა ხრისტაგანმა, ვადმოვიდა რაშიდან, მოხადა უნაგირი, ამოიღო აბგიდან ოქროსა და ვერცხლის ტანისამოსი. ესენი რაშის ყურში ჩაალაგა და უთხრა რაშს: „წადი, იბალახე; როდესაც დაგიძახო, მაშინვე მოდიო“.

რაში წავიდა საბალახოდ. ხრისტაგანი ვაჰყვა მინდორს და ხელმწიფის სასახლეს მიუახლოვდა. ამ დროს მელორე თავის ღორებს მოერეკებოდა. ხრისტაგანმა უთხრა მელორეს: — შენი ტანისამოსი მე მომეცი, და ჩემი შენა გქონდესო.

მელორე ცოტა ხანს ვაჰყვირდა და შემდეგ უთხრა ხრისტაგანს:

— ჩემი ტანისამოსი დავლევჯილია შენი კი სპილენძისა არისო.

— შენ რას დავძებ, — უთხრა ხრისტაგანმა.

ვახადა მელორეს მისი ტანისამოსი და თავისი სპილენძის ტანისამოსი მისცა მას. ჩაიცვა მელორემ და წავიდა. ხრისტაგანმა კი მელორეს ტანისამოსი ჩაიცვა.

მიღის შარას მელორე და თან უკან იხედება, ეს სპილენძის ტანისამოსი ისევ არ წამართვასო. ამ შიშით გულში მელორე თავის სახლში მივიდა.

ახლა ამდენი რად მოვაწყინოთ, ხრისტაგანიც ხელმწიფის კიშკართან მივიდა. კარი ვაღებულები დახვდა. შევიდა შიგ. ხელმწიფის მოსამსახურეებმა რო დაინახეს, ერთმანეთს დაუძახეს: „გლახაკი მოდისო“. ერთმა მოსამსახურემ სთქვა: „ეს მე მინდა, ჩემ დამხმარედ, საჯინიბოს ვამოსაწმენდად მოვიხმარო“. მეორემ სთქვა: „რასა ლაპარაკობ, ის მე მინდა ეზოს დამგველადაო“. მაგრამ შეეტლეთ წამოესწრო მათ ლაპარაკს და მან წაიყვანა ხრისტაგანი ცხენების მწმენდელად.

ბრისტაგანს ჰქონდა ხუჭუქი თმა და ამისათვის მოსამსახურეებმა მას დაარქვეს სახელად „ქოჩორა“. არის ქოჩორა აქ და წმენდს ცხენებს. ისეთი წმენდა იცის, უკეთესს კაცის ხელი ვერ გასწმენდს. ერთ დღეს ხელმწიფე სასეირნოდ წავიდა ეტლით. ცხენებს დაუკვირდა და მეეტლეს ჰკითხა:

— ეს ცხენები ვინ გასწმინდაო?

— ერთი გლახაკი მოვიდა, ქოჩორას ვეძახით, ისა მყავს ცხენების მწმენდელად, — მოახსენა მეეტლემ.

სალამოს ხელმწიფე დაბრუნდა სასახლეში და ქოჩორა დაინახა. გაეხარდა ხელმწიფეს; ქოჩორა მზარეულს მიაბარა და უბრძანა:

— ამას საქმელების კეთება ასწავლეო.

ქოჩორა ჰყავდა მზარეულს ერთი თვე და ყველაფრის კეთება დაისწავლა. ერთხელ მზარეული არ იყო და ქოჩორა მარტო აკეთებდა საქმელებს. გააწყვეს სადილი. ხელმწიფე მაგიდას მოუჯდა. საქმელები ერთი მეორეზე უკეთესი იყო. ხელმწიფემ მოიწვია ქოჩორა და უთხრა:

დღეის შემდეგ შენ იქნები ჩემი ბალის მუშების უფროსი; შენ უნდა მისცე მათ გეგმა, თუ როგორ უნდა ბალს კეთება.

მადლი შესწირა ქოჩორამ ხელმწიფეს. მეორე დღეს დაადგინეს ქოჩორა მებაღედ. ქოჩორამ ისეთი ხელი გამოიღო, რომ ნახევარი წლის შემდეგ ბაღში შესვლის ღირსი არავინ იყო.

შუა ბალს ბოქკები იდგა წყლის ტურქლებად. ამ ალაგას მუშები მოვიდნენ. ოცი კაცი ბოქკებს ეზიდებოდა, მაგრამ ერთი ბოქკა ისეთი ერია, რომ ასი კაციც ვერ აიღებდა. სალამოს ქოჩორა შევიდა ბაღში, მიიხედ-მოიხედა, მოჰკიდა ხელი ამ დიდ ბოქკას, აიღო და მეორე ადგილას დასდგა. ამ დროს ზემო სართულიდან ხელმწიფის უმცროსმა ქალმა დაინახა ის, რაც რო ქოჩორამ ქნა.

ოცთა ხნის შემდეგ ხელმწიფის ქალები ჩამოვიდნენ ძირს და წავიდნენ ბაღში სასეირნოდ. ბაღში რო სეირნობენ, ამ დროს

ქოჩორას თურმე ხის ძირში დასძინებია. წინ მიდის უფროსი ქალი, უკან მისდევს საშვადი და სულ ბოლოს — უმცროსი. ეს



უმცროსი ქალი დააცქერდა ქოჩორას, რომელსაც გულ-მკერდ-გახსნილს ეძინა. ქალი დაუკვირდა და მიხვდა, რომ ურიგო კაცის შვილი არ იყო ქოჩორა, და რაც ღონე ჰქონდა, ეს ისედაც ხომ იცოდა. ავიდნენ ქალები ზემო სართულს. ამ უმცროს დას სულ ქოჩორას ფიქრი აქვს.

გავიდა სამი დღე. ხელმწიფემ თვისი ვეზირები შეჰყარა და უთხრა:

— ეს ჩემი ქალები ყველა ერთ დღეს უნდა გავათხოვო.

— ძალიან კარგი, ბატონო, — მოახსენეს ვეზირებმა, — მაგრამ სიძეები საიდან უნდა მოვიდნენო?

— ყველა სახელმწიფოდან უნდა შევეყაროთ ახალგაზდა კაცები, — სთქვა ხელმწიფემ, — იმ დღეს წვეულება უნდა გავმართოთ, სტუმრები ყველა სეფას უნდა დაეაჯღინოთ. რო-



დესაც შუა სმა-ჰამა იქნება, იმ დროს უფროსი ქალი უნდა შევიდეს სეფას; ერთი ვაშლი უნდა მივსცეთ ხელში და ქალი უნდა დაჰყვეს სეფას, სადაც რო სხედან ყმაწვილები; ვისაც რო საქმროდ ამოირჩევეს, იმას უნდა მისცეს თავისი ვაშლი. საშვალე და უმცროსიც ასე უნდა მოიქცნენო.

ვეზირები დასთანხმდნენ. მეორე დღეს დააგზავნეს ყველა სახელმწიფოში ქალაღდები. დანიშნულ დროს გამართეს ლხინი. მოვიდნენ სტუმრები; ხელმწიფეების შვილებიც არიან სხვა-და-სხვა სახელმწიფოდან. ვინც-კი ვარგოდა, ყველა ვაჟი იქ იყო. დასხეს ყველანი. შუა სმა-ჰამა რო შეიქნა, გამოიყვანეს უფროსი ქალი. აქეთ-იქით ორი კაცი მოჰყვება. მიიყვანეს სეფას კარს, მისცეს ხელში ვაშლი, და უთხრა ხელმწიფემ:

— შვილო, ვინც რო შენ საქმროდ გინდა, იმას ეს ვაშლი ხელში ჩაუღდეო.

დაჰყვა ქალი სეფას. ვაჟებმა ამ დროს უღვაშის გრება დაიწყეს; ზოგმა თავზე ხელი გაღისო, ზოგმა მაგრად დაახველა, ვგებ მე შემომხედოს ქალმაო; მაგრამ ის სულ იქით-იქით მიღის. დარჩენილმა ვაჟებმა სიკვდილი გაიარეს. იარა. იარა ქალმა და ბოლოს ვაშლი ერთ ვაჟს მისცა. ყველამ ვაშა დაიძახა. ააყენეს სასიძო ვაჟი. ქალი და ის ორივე ზემო სართულში აიყვანეს. ეს ვაჟი გარეშე ხელმწიფის შვილი იყო.

ახლა სეფას საშვალე ქალი დაჰყვა. ყმაწვილებმა მაშინვე დაიწყეს უღვაშის გრება, ვინ ხველება, ვინ ცხვირსახოცის ამოღება და ცხვირის წმენდა, მისთვის რომ ის ცხვირსახოცები ყველა ძვირფასი იყო. იარა, იარა ქალმა და ბოლოს ვაშლი ერთ ვაჟს მისცა. მაყურებლებმა ვაშა დასძახეს. ეს ვაჟიც გარეშე ხელმწიფის შვილი იყო. ქალი და ვაჟი ორივე ზემო სართულში აიყვანეს.

ახლა მესამე ქალი, უმცროსი, მოიყვანეს და ისიც სეფას დაჰყვა. ვაჟებმა დაიწყეს ქვეშ-ქვეშ ცქერა, არა მე მომცემს

ვაშლს და არა მეო, მაგრამ ეს ქალი სულ იქით-ბქით მიდის და ვაქებს ტყუილად თვალები დაებრიცათ. ქალმა გაიარა სეფა, მაგრამ ვაშლი არაფისთვის მიუცია. ხელმწიფემ ჰკითხა თავის ქალს:

— რა არი, შვილო, არც ერთი კაცი არ მოგეწონა?

— ყველანი არა სხედან სეფაში, — უთხრა ქალმა.

— დააჯინეთ ყველანი, — ბრძანა ხელმწიფემ.

დასხეს ყველანი, გარდა ხელმწიფის მოსამსახურეებისა.

— ჰე, შვილო, წადი ახლა! — უთხრა ხელმწიფემ ქალს.

ქალი დაჰყვა ხელმეორედ სეფას, მაგრამ ვაშლი ახლაც არაფის მისცა.

— რა არი, შვილო: კაცი კიდევ აკლია?

— კიდევ სრულად არა სხედან კაცები, — უთხრა ქალმა.

— არაფინ არ დატოვოთ, ვისაც კი უღვაში ასხია, — ბრძანა ხელმწიფემ.

მოიყვანეს ყველანი და დააჯდინეს. დაჰყვა ქალი. ვაქებმა ყურები სცქვიტეს, მაგრამ ამ ქალს მაინც არა ეშველა-რა. იარა, იარა, იარა, მიადწია ქოჩორას ახლოს. ხელი რომ ასწია, ყველას გაუკვირდა, მაგრამ ვაშლი ხელში ჩაუდო ქოჩორას. არც ვაშა დაიძახეს და არც არაფერი. ყველა ერთმანეთს მისჩერებოდა.

რა ქნა, ჯიმა-ღურელი<sup>1</sup>), ამ ქალმა? სულ დაღუპული არა ყოფილა!


ააყენეს ქოჩორა და მისი ცოლი.

— საცხენე ფაცხა რომ იდგა, იქ წადიო, — უთხრა ხელმწიფემ:

— ამისი ბედი გქონებია: ყოველთვის მკვდარი იყავი და დღეს-კი სულ შობიკვდიო.

ქოჩორა და მისი ცოლი ფაცხაში შევიდნენ და იქ დასხდნენ. მონარჩენი საკმელები მოსამსახურემ გობით მიუტანა.

<sup>1</sup>) ძმა-მკვდარი (ღანძღვა).



ქალმა ვაჟი ხელში  
ჩაუღო კობიობს.



სტირის ქალი, მაგრამ რა ქნას? ქოჩორამ მოსწონდა კერძისთან ჩაჯდა. ეს ორი სიძე და მათი ცოლები ზემო სართულში დათამაშობენ.

გავიდა დრო და ხანი. ხელმწიფე ავად გახდა და ვერავითარმა ექიმობამ ვერ უშველა. დასხდნენ ვეზირები, გაარჩიეს საქმე, როგორ უჯობს ამ ჩვენი ხელმწიფის ავადმყოფობასაო. ბევრი სხვა-და-სხვა ილაპარაკეს, მაგრამ ერთმა სთქვა:

— ამა და ამ მთაში არის ერთი გარეული ღორი. იმის გულსა და ღვიძლს ვინ მოიტანს, თორემ ნამდვილად მოუხდება ხელმწიფესო.

— ვინ მოიტანს, და სიძეებო, — თქვეს სხვა ვეზირებმა. უთხრეს ეს სიძეებს. გამოეწყო ორივე სიძე და წავიდნენ წამლის საშოვნელად. ეს ორ ქოჩორამ გაიგონა, ხელმწიფის ცოლს კაცი მიუგზავნა: „მეც მივდივარ და ცხენი მომეცით“. ხელმწიფის ცოლმა თქვა:

— მიეცით საფქვილე ცხენი: ეგებ სადმე დაიღუპოსო.

მოუყვანეს ქოჩორას ერთი მუნიანი ცხენი. დაუდგეს დაგლეჯილი უნაგირი. შეგდა ქოჩორა და წავიდა. ბავშვებმა სტვენა დაუწყეს: „ქოჩორა მიჰქრის, მიაქენებს“.

ქოჩორას ცხენი მიძანძალებს ურიის ცხენივით. იარა ქოჩორამ და იქ მივიდა, სადაც რაში დასტოვა. დაუძახა რაშს; რაში მოვიდა. ცხენი იქ მინდორს დატოვა, დაგლეჯილი უნაგირი ტყეში შეინახა. ამოიღო რაშის ყურიდან უნაგირიც და ტანისამოსიც. ჩაიწო ვერცხლის ტანისამოსი. დაჰკრა რაშს მათრახი და რაში იმ მთაზე დასკუბდა, სადაც გარეული ღორი ცხოვრობდა. გადმოხტა რაშიდან და დაასადავა. თვითონ ჩრდილში დაწვა. გავიდა ცოტა ხანი და ორივე სიძემ თავი ამოყვეს. გაიხედეს, ნახეს: რაში ჩრდილ ქვეშ დგას და ერთ კაცს ჩრდილში სძინავს. კარგად რო დაუკვირდნენ, თქვეს: „ნამდვილად წმიდა გიორგი უნდა იყოსო“. ჩამოხტნენ ცხენებიდან, დაიწყეს პირჯვრის წერა. მიუახლოვდნენ და დაიჩოქეს. ქოჩორამ უთხრა:



— რა გინდათ, რა გაგვირვებიათო?

— ჩვენ მოვდივართ ამა და ამ საქმისათვისო, — ყველაფერი უთხრეს სიძეებმა.

— ის ღორი აი სად არისო; წადით, ან მოჰკალით ან და აქეთ გამორგეთო, — უთხრა მათ ქოჩორამ.

წავიდნენ, მაგრამ ვერც მოჰკლეს და ვერც გამორგეს. აღდა ქოჩორა, წავიდა. მოჰკლა ღორი და სიძეებს უთხრა:

— გასკერით, გამოიღეთ გული და ღვიძლი!

მივიდნენ, გასკრეს, შევიდნენ ღორის მუცელს და ძლიეს გამოიღეს გულ-ღვიძლი.

— მოდი აქ, — უთხრა ქოჩორამ უფროს სიძეს, — ცერი მაჩვენეო!

მოჰკიდა ქოჩორამ ხელი და ფრჩხილი ააძრო.

— ახლა წადითო! — უთხრა ქოჩორამ.

დიდი მადლობა უთხრეს სიძეებმა ამ ღვთის სწორ კაცს და წამოვიდნენ. მოაწიეს შუა შარას; ძალიან ხათრიანად-კი მოდიან. შევიდნენ ხელმწიფის ეზოში, აათამაშეს ცხენები და გადმოხტნენ. შემოეგებნენ მათი სიღედრი და ცოლები. „მოვიტანეთო“, — უთხრეს სიძეებმა. ყველას გაეხარა. მოხარშეს და დაალევინეს ხელმწიფეს. ხელმწიფე მორჩა. იყო დიდი სიხარული: „ჩვენი სიძეები ტარიელები არიანო“, — ამბობდნენ.

ქოჩორა მთაზე რომ იყო, შეჯდა რაშს. დაჰკრა მათრახი, და სადაც მისი ცხენი იყო — იქ დაასკუბა. ტანისამოსი გაიხადა, ისევე რაშის ყურში შეინახა. უთხრა რაშს: „წადი, იბალახეო“. დაიჭირა ცხენი, მოადგა დაგლეჯილი უნაგირი, წამოვიდა ხელმწიფის სასახლეს. კიშკარს რო შევიდა, ბავშვებმა დაინახეს. დაიწყეს სტვენა: „ქოჩორა მოდის, მოაქენებს, ღვიძლი და გული მოაქვს“.

ამ დროს ქოჩორას შეუღლები გაიხედა ფაცხიდან, გული მოუყვდა: მიიფაფება ქოჩორა მისი ცხენით. სიძეებმა რო დაი-

ნახეს, სიცილი დააყარეს. ხელმწიფის ცოლმა სთქვეს: „ნახეს, სიცილი დააყარეს. ხელმწიფის ცოლმა სთქვეს: „ნახეს, სიცილი დააყარეს.“  
 დევ არ დაღუპულაო“?

გადმოვიდა ქოჩორა ცხენიდან, შევიდა ფაცხაში. ცოლს უთხრა:

— საქმელი არა გაქვს რაო?

— ეგერ თუჯიას ეგებ ცოტა რამე იყო, — უთხრა ცოლმა.

აღვა ქოჩორა, გამოიღო თუჯია, შექამა საქმელი და დაწვა ლოგინს.

გავიდა ერთი თვე. ხელმწიფე კიდევ ავად გახდა, თვალის სინათლე დაეკარგა. ისევ მოხდა ვეზირობა. ბოლოს თქვეს: „ამა და ამ მთაში ერთი ირემი არისო; იმის რძეს ვინც მოიტანს, ის მოუხდებოა“.

— ამას ვინ მოიტანსო? — თქვეს.

— ვინ მოიტანს, — და ისევ სიძეეზიო, — თქვა ერთმა.

უთხრეს სიძეებს; — „კარგო“, თქვეს. — გამოეწყვენენ, გადაჯდნენ თავ-თავის ცხენებს და წავიდნენ. ეს რო ქოჩორამ გაიგო, ხელმწიფის ცოლს შეუთვალა: „მეც მივდივარ და ცხენი მინდაო“.

— მიეციოთ ისევ ის ცხენი და უნაგირიო, — სთქვა ხელმწიფის ცოლმა.

მოუყვანეს ქოჩორას ცხენი; შეჯდა ზედ და წავიდა. ბავშვებმა უსტვინეს.

ქოჩორა შიქაჩება მისი ცხენით. მივიდა სადაც რაში ჰყავდა იქ. ჩამოხტა ცხენიდან, უნაგირი ტყეში შეინახა. დაუძაბა რაშს; რაში მოვიდა, ამოიღო ყურიდან უნაგირი და ოქროს ტანისამოსი, ჩაირცვა და შეჯდა რაშზე. დაჰკრა მთრახვი, გასწია რაშმა ზვეით-ზვეით ჰაერში და იქ დასკუპდა, სადაც ის ირემი იყო. რაში ჩრდილში დააყენა, თითონაც ხის ძირს დაწვა. გავიდა ცოტა დრო, მოვიდნენ სიძეეები. ნახეს ყველაფერი.



მან. კ. ა.

— ხედავ, ძმაო, — უთხრეს ერთმანეთს: — ეს ღმერთი უნდა იყოს. ჩვენი საქმე კარგად არისო.

მივიდნენ ახლოს, დაიწყეს პირჯვრის წერა და დაიჩოქეს. ქოჩორამ უთხრა: „რა ამბავია, რა გინდათო?“ იმათ ყველაფერი უამბეს, რაც რო უჭირდათ.

ადგა ქოჩორა, წავიდა, დაიქირა ირემი, მოწველა და რძე ბოთლში ჩაასხა. მისკა სიძეებს და უთხრა საშვალნი დის ქმარს — აქ მოდიო. მოჰკიდა ყურში ხელი და მარჯვენა ყური აავლიჯა. „ახლა წადითო“, — უთხრა მათ. სიძეები წამოვიდნენ, მოიტანეს რძე, ჩაასხეს ხელმწიფეს თვალეებში. ხელმწიფე მორჩა.

ქოჩორა კი შეჯდა რაშზე და იქ გაჩნდა, სადაც ცხენი ჰყავდა დატოვებული. რაში საბალახოდ გაუშვა; ოქროს ტანისამოსი ყურებში ჩაუდგა. შეაჯდა თავის მუნიან ცხენს და წამოვიდა სასახლეს. ბავშვებმა უსტვინეს. ქოჩორას ცოლს გული მოუკვდა ამის გამო, მაგრამ რას იზამდა. შევიდა ქოჩორა ფაცხაში, შექაშა ცივი ღომი და დაწვა ლოგინში.

გავიდა ბევრი ხანი. ერთხელ ერთმა ხელმწიფემ ამ ხელმწიფეს შემოუთვალა: „ამა და ამ დროს უნდა ვიომოთო“. ამ ხელმწიფემ „კარგი“-ო შეუთვალა.

მოვიდა დრო. წავიდა ხელმწიფე მისი ჯარიანად. მივიდნენ დანიშნულ ალაგას. მისი სიძეები ორივე, რა სალაპარაკოა, იქ მიჰყავს. მოვიდა იქიდან ის ხელმწიფე თვისი ჯარით. დაუპირდაპირდნენ ერთმანეთს.

ამ დროს ქოჩორამ ხელმწიფის ცოლს კაცი მიუგზავნა: „ცხენი მინდა, — მეც მივდივარ საჩხუბრადო“.

— მიეცით: ვგებ სადმე გადაიკარგოსო.

ქოჩორა შეჯდა თავის ცხენზე. ცხენმა დაიწყო ძანძალი. ბავშვებმა სტვენა მორთეს: „ეჰე, ის დღეს ჯარს დაცხრილავსო“.

ქოჩორა მივიდა იქ, სადაც რაში ჰყავდა. ცხენი მინდოდა ში გაეშვა. რაშს დაუძახა. რაში მოვიდა. ამოიღო უნაგირი და ვერცხლის ტანისამოსი. უნაგირი რაშს მოადგა, ტანისამოსი თვითონ ჩაიცვა. შეჯდა რაშზე და დაჰკრა მათრახი. რაშმა გასწია ზემოდ და იქ დასკუპდა, სადაც ხელმწიფეები ერთიმეორეს ჰირდაპირ იდგნენ. ყველას შეეშინდა:—ეს რა ამბავიაო.—სიძებებმა კი იცნეს ვაფი: „ჩვენ რომ მთაზე ვხედავდით, ის არისო“,—თქვეს თავისათვის.

ქოჩორამ იძრო ლეკური, ჩაერია იმ ხელმწიფის ჯარს და სულ მუსრი გააელო. ვინც რო გაიქცა, გაიქცა. დაჰკრა ქოჩორამ რაშს მათრახი და იქვე გაჩნდა, სადაც ცხენი ჰყავდა გაშვებული. გამარჯვებული ხელმწიფეც მოდის სიძებებთანად ძლიერ გახარებული. მოვიდნენ სასახლეში. ხელმწიფემ სთქვა:

— დღეს ღმერთი შემეწია: ანგელოზი მომივლინა და იქაური ჯარი სულ ერთიანად დახოცა; ჩვენ კი თავისუფლად მოვედითო.

გავიდა დრო და ხანი. კიდევ შემოუთვალა იმ ხელმწიფემ ამ ხელმწიფეს: „უნდა ვიჩხუბოთო“. ამ ხელმწიფემ შეუთვალა— „კარგო“.

დანიშნულ დროს წავიდა ხელმწიფე ჯარით და ორივე სიძით. იქიდან ის ხელმწიფე მოვიდა თავის ჯარით. ამ დროს ქოჩორამ კაცი მიუგზავნა ხელმწიფის ცოლს: „მეც მივდივარ და ცხენი მიბოძეთო“.

— მიეცით, ეგებ სადმე პაპანწყვილს\*) ჩაიღუპოსო, — ბრძანა ხელმწიფის ცოლმა.

\*) **პაპანწყვილი** ტბის სახელია სამურზაყანოსა და აფხაზეთს შუა. სახელი შესდგება ორი სიტყვიდან: პაპა (მღვდელი) + წყვალა (დაქცევა). ამ სახელს ლეგენდა ამ ნაირად ხსნის: ერთ მღვდელს ნადი, ანუ მამითადი ჰყავდა. საღამოთი მღვდელი ჩვეულებისამებრ გაუმასპინძლდა მეშვებს, მხოლოდ ცხვრის მაგივრად მათ ძალდი დაუკლა. ამ ურჯულსა საქციელისათვის ღმერთმა დასაჯა მღვდელი: როდესაც ნადი წავიდა, მღვდლის კარ-მიღამო მიწამ შთანთქა და მის ადგილას ტბა გაჩნდა, რომელსაც ამის გამო დაერქვა პაპანწყვილი.

შეჯდა ქოჩორა ცხენზე და გასწია. შარას რო შილის, ბავშვებმა სტვენა დაუწყეს: „ქოჩორა დღეს თესლად ამოაგდებს იქაური ხელმწიფის ჯარებსაო“.

ქოჩორა მივიდა, სადაც რაში ჰყავდა. დაუძახა რაშს; რაში მოვიდა. ამოუღო ყურიდან უნაგირი და ოქროს ტანი-სამოსი და გამოეწყო. შეჯდა რაშს და ომის ადგილას გაჩნდა. ჩაერია შუაში, იძრო ლეკური და დაიწყო კაცის ხოცვა. იმ ხელმწიფემ, მეორემ, იფიქრა: ნამდვილად ღმერთი მე უნდა მიწყრებოდესო. გაჰყვა ქოჩორა ჯარს და ერთიჯ არ გაუშვა ცოცხლად. ყველა რო დახოცა, ქოჩორა მობრუნდა თავის ხელმწიფისაკენ. ხელმწიფე მიეგება, პატივი სცა დაჩოქებულმა, როგორც ღმერთს— ისე. ლეკურის ჩაგების დროს ქოჩორამ მარცხენა ხელის თითი გაიქრა. ხელმწიფემ ყელსახვევი მოიხსნა და მით თითი შეუკრა. ქოჩორა შეჯდა რაშზე, დაჰკრა მათრახი და პირდაპირ სასახლეში წამოვიდა. შევიდა ეზოში და აათამაშა რაში. როდესაც ხელმწიფის ცოლმა, შეილემბმა და მსახურებმა ეს დაინახეს, ყველანი მიიმაღ-მოიმაღნენ: შეეშინდათ. ქოჩორამ მოუქნია რაშს, ისეთი შეათამაშა, რო ხელმწიფის მოსახლობამ ცანცალი დაიწყო. ამ რაშის ნაფოლი მიწას აჩნია, ისე რომ თითო ნაფოლს თითო კაცი ჩაეტევა. ბოლოს ქოჩორა გაექანა თავის ფაცხისაკენ. გადმოვიდა რაშიდან, გაალო კარი, შეიყვანა შიგ რაში და კუთხეში დააყენა. ქოჩორას მეთულღე შიშით მოკვდა: ვერ იცნო, ვინ იყო. ქოჩორამ უთხრა:

— არ შეგეშინდეს, მე ვარ შენი ქოჩორა!

ქალს, იცოდე, გაეხარდა. მივარდა, ჩაეხუტა მკერდში; კიდევ სტიროდა და კიდევ იცინოდა; რა უნდა ექნა, არ იცოდა. ქოჩორა დაწვა ლოგინზე, თავი ქალის კალთაში ჩადვა. ქალმა აიღო ჩონგური, იწყო დაკვრა და დამღერება, იმდენად გული გაკეთებული ჰქონდა.



საქართველოს  
ხელმწიფე

ხელმწიფის ცოლმა სთქვა: „ვინ უნდა იყოს, ჯიმა-ლუ-რელი, ღეთის სწორი კაცი ფაცხაში რო შევიდა და ჩემი და-ღუპული ქალი მას ჩონგურს უმღერებსო“? ღედამ ქალს კა-ცი გაუგზავნა:—ვინ არის მაგ კაციო?

გაალო კარი გამოგზავნილმა კაცმა. შიგ რო შეიხედა, ღეთისწორი კაცი და მისი რაში დაინახა.

—რა გინდა?—ჰკითხა ქალმა.

—ბატონმა შემოგითვალა, ეგ კაცი ვინ არისო,—უთხ-რა გამოგზავნილმა კაცმა.

—ეს თქვენი საქმე არ არისო.—უთხრა ქალმა.

ამ ღროს მოაწიეს ხელმწიფემ და მისმა გამარჯვებულმა სიძეებმა. თავმა კაცებმა წინდაწინ გამოაკენეს ცხენები, რომ ხელმწიფის ცოლს ახარონ გამარჯვება. ეზოში რო შემოვი-ღნენ, რაშის ნაფოლეებში ჩაცვინღნენ ყველანი, რადგან მი-წის გული დაგლეჯილი იყო რაშის ნაფოლეებით. ხელმწი-ფემ დაიძახა: „ეს რა ამბავია? ღორები ხომ არ შემოცვენი-ღან ეზოშიო?“

ხელმწიფის ცოლი ზემო სართულიღან გამოვიღა წყნა-რად, დაუქნია ხელი, მიიფარა ხელი პირზე და უთხრა:

—სუ, სუ, წყნარად! ღმერთი არის ფაცხაში!“

ყველას შეეშინღა. ჩამოვიღა ხელმწიფე ცხენიღან, ავიღა ზემო სართულში და ჰკითხა ცოლს ამბავი. ცოლმა ყველა-ფერი უამბო, რაც ნახეს. ხელმწიფემ სთქვა: „ნამღვიღალ მე რო მეხმარებოღა, ის ღმერთი უნღა იყოსო.“ ხელმწიფემ კაცი მიუგზავნა: „მობრძანღიო“, მაგრამ ქორწორამ შეუთვალა: „აქეთ მოვიღდესო.“

ხელმწიფე, მისი ცოლი, შვიღები და სიძეები წამოვიღნენ ყველანი ერთად. შევიღნენ ფაცხაში, ნახეს სასწაული, დაიჩო-ქეს. ქორწორამ უთხრა:



— აღეკით! მე ქოჩორა ვარ, ღმერთი არ გეგონათ.

აღგნენ. ქოჩორამ უთხრა უფროს სიძეს:

— შენ რა უყავ შენი თითის ფრჩხილი?

— ამა და ამ დროს ქვაზე წაიგლიჯეო, — უთხრა მან. გაიცინა ქოჩორამ და უთხრა:

— აი, შენი ფრჩხილი! ქვაზე წაიგლიჯე, თუ მე ავაგლიჯეო?

მოკვდა სირცხვილით უფროსი სიძე, მაგრამ რა უნდა ექნა? ქოჩორას ვერაფერს გაუბედავდა. ახლა ქოჩორა მეორე სიძეს მიუბრუნდა:

— რა უყავი შენი ყური?

— ამა და ამ დროს მთაში ქვაზე წაიგლიჯეო, — მიუგო იმანაც.

გაეცინა ქოჩორას და და უთხრა:

— აჰა, შენი ყური! ქვაზე წაიგლიჯე თუ მე მოგაგლიჯეო?

დაიწვა სირცხვილით ესეც, მაგრამ რა უნდა ექნა?

ახლა ქოჩორა მიუბრუნდა ხელმწიფეს და ჰკითხა:

— შენ რომ წინად საომრად წადი, მაშინ რა გვარი კაცი ნახე, რომ გეხმარებოდა?

— ტანისამოსი ყველაფერი ვერცხლისა ეცვა, — უთხრა ხელმწიფემ.

— მეორედ რომ წადი საომრად, მაშინ როგორი ტანისამოსი ეცვა იმ კაცს?

— ბატონო, თქვენი ტანისამოსის მსგავსი ეცვა.

— რა დაემართა იმ კაცს ლეკურის ჩაგების დროს?

— თითი გაიქრა.

— მერე შენ რა ქენი?

— მე, ბატონო, ჩემი ყელსახვევით თითი შევეუხვეე.

— ეს ხომ არ არის? — აჩვენა ქოჩორამ შეკრული თითი.

ხელმწიფეს გაეხარდა, გადაეხვია, გადაკოცნა და ახლა კი გაიგეს, თუ რაში ყოფილა საქმე. მაშინვე ქოჩორა და მისი ცოლი ზემო სართულში აიყვანეს. სხვა სიძეები ცოლებიანად გადაცვიდნენ, კაცისათვის თავი რომ არ ეჩვენებიათ— ისე. ხელმწიფე და მისი ცოლი გახარებულნი იყვნენ, მისთვის რომ ასეთი სიძე მისცა მათ ბელმა.

გავიდა ბევრი დრო და ხანი. ქოჩორა სანადიროდ დადიოდა. ნანადირევი ბევრი მოჰქონდა. ერთხელ მისი ცოლი ზღვაზე წავიდა ტანის დასაბანად. ამ ქალს თმა ესხა ოქროს ძაფივით. ერთი თმა მოსძვრა და ზღვაში ჩაეარდა. ეს თმა წყალმა. აიტივტივა და ვალმელი სახელმწიფოს ზღვის პირას გააგდო. ეს ნახა იქაური ხელმწიფის ვაჟმა. აიღო, გასინჯა და სთქვა: „ამ თმის პატრონი თუ ჩემი ცოლი არ იქნება, ჩემი ყოფა ქვეყანაზე ისე ღმერთმა ნუ ქნასო“. მივიდა სახლში და ყველაფერი მამას უამბო. მამა შეწუბდა; შეყარა თავის სახელმწიფოს ყველა კაცი და ჰკითხა:

— ასეთი საქმე მიჭირს, და ვის შეგიძლია ჩემი დახმარებაო.

— მე მოგეხმარებო, — უთხრა ერთმა დედაბერმა. ის წაიყვანა ხელმწიფემ სახლში და ჰკითხა: — როგორაო? დედაბერმა უთხრა:

— ერთი კიკა სასმელი მიშოვე ისეთი, რო თუ ვინმემ დალიოს, მაშინვე დააძინოსო. მეორე, — უთხრა დედაბერმა, — ისეთი ნავი მიშოვე, თვალის დახამხამებას ასი ვერსი გაიაროსო.

— ძალიან კარგო, — უთხრა ხელმწიფემ და მისცა ყველაფერი გამოწყობილად.

წამოვიდა დედაბერი, გამოვიდა ზღვაში ქოჩორას სახლის ახლოს, ნავი ნაპირზე მიაბა, კაცი რო ვერ ნახავდა — ისე. წამოვიდა სასახლისაკენ, შევიდა ეზოში, თან ჯოხი უბიჯგია,

ვითომ მათხოვარია — ისე. დაინახა დედაბერი ქოჩორას კოლხა და ჰკითხა:

— რა გინდა, ნანა, რისი მათხოვარი ხარო?

— მე, ნანა—შვილო, მოსამსახურედ დამიყენეო, —უთხრა დედაბერმა.

— ძალიან კარგო, —დასთანხმდა ქოჩორას კოლი, —იცოდე, ამ დროს ხელმწიფე და მისი კოლი მკვდრები იყვნენ. ქოჩორა საღამოს მოვიდა სანადიროდან; ნახა დედაბერი, გაეხარდა: მარტო ვიყავით და კაცი შეგვძენიაო. იმ დედაბერს გაუკვირდა ქოჩორას ძალა, მისთვის რომ იმდენი ნადირებით დატვირთული მოვიდა. მეორე დღეს ქოჩორა ისევ წავიდა სანადიროდ. ეს დედაბერი მიუჯდა ამ ქალს და დაუწყო ლაპარაკი:

— ნანა—შვილო, ამ შენს ქმარს სული სად უდგია, ღონე სადა აქვსო?

— მე არ ვიციო, —უთხრა ქალმა.

— ნანა—შვილო, შენი ქმარი ერთი სული და გული არა ყოფილა შენთანაო, —უთხრა დედაბერმა. იმ ღამეს მოვიდა ქოჩორა. რო დაწვნენ, ქალმა უთხრა:

— ქოჩორა, შენ მე არ გიყვარვარო.

— რისთვისაო?

— რისთვისაო, და შენ სული და ღონე სადა გაქვს, მე არ უნდა ვიცოდეო?

— რისთვის გინდაო?—ჰკითხა ქოჩორამ და მისი სანამუსო (საიდუმლო) არ უთხრა კოლს, მაგრამ კოლმა საშველი არ მისცა და ბოლოს ყველაფერი უთხრა კოლს. მეორე დილას ადგა ქოჩორა და წავიდა სანადიროდ. დედაბერმა ჰკითხა კალს:

— რა არიო, ნანა, რა გითხრა?

— ჩემი ღონე და სული, ერთი კაკალი თმა მაქვს შუაგულ თავზე, ის თმა ყველა სხვაზე უმსხოსია, იმ თმას აბა-



რიაო. როდესაც ის თმა მომძვრება, მაშინვე მოვეკვდები, უთხრა ქალმა დედაბერს ქოჩორას ნაამბობი.

დედაბერს გაეხარდა. იმ საღამოს ქოჩორა მოვიდა სანადიროდან, დაწვა ლოგინს და დაიძინა. ეს დედაბერი მიქვაქვალდა შკაფთან, გამოიღო სასმელი, დაასხა ქიქაში და უთხრა ქალს: „აი, ნანა—შვილო, ეს ჩემი ნახელაფი დალიეო“. ქალმა ჩამოართვა და დალია. ძილი მოუნდა ქალსა, დაწვა და დაეძინა. ამ დროს დედაბერი მიეპარა ქოჩორას, მოჰკიდა ხელი იმ თმას და უცბად ამოგლიჯა. ქოჩორა ერთი შეიძრა და წყილივით სული განუტევა. დედაბერმა მოიტაცა ქალი, რო ეძინა, ისე, მიიყვანა ნავთან, ჩასვა შიგ და გადაკარგა მეორე სახელმწიფოში. ქოჩორას ის ერთი კაკალი თმა თან წამოიღო და შუა ზღვაში გადააგდო. დედაბერმა ეს ქალი ხელმწიფეს მიუყვანა. გაეხარდათ ძლიერ და ბევრი საჩუქარი მისცეს დედაბერს. ხელმწიფემ უთხრა ქალს:

— შენ მე რძლად მინდებხარ: გვირგვინი უნდა ისკვნა ჩემს შვილთანაო.

— მე არ შემიძლია გვირგვინის სკვნა, მისთვის რომ უნდა ვიგლოვო ჩემი ქმარი სამ წელიწადს, სამ თვეს, სამ კვირას, სამ დღეს, სამ საათსა და სამ წამს; შემდეგი ახლა—არა,—უთხრა ქალმა.

— კარგო,—უთხრა ხელმწიფემ. წაიყვანეს ეს ქალი და ზემო სართულის ოთახში შეიყვანეს. ქალმა კარი შიგნიდან დაჰკეტა. ფანჯარა გაღებული აქვს დღისით და ღამით. გასცქერის ზღვის პირს და მუდამ სტირის. რაც დაემართა, ყველაფერი იცის, მაგრამ რას უშველის?

გავიდა სამი წელი და სამი თვე. მოვიდა დანიშნული დრო. მაგრამ ესეც იცოდეთ: როდესაც ქოჩორა მოკვდა, ბელთაგან-ტარიელის ჯაყვის პირი ასისხლიანდა. შეჯდა რა-შხე, მოუქნია და წამოვიდა ხრისტაგან—ტარიელის საძებრად. მიხვდა, რო ნამდვილად მკვდარია. ამდენი რა გაეფრ-

ძელო, მოვიდა ზრისტაგანის სახლში. ავიდა ზემო სართულში, ნახა ზრისტაგანი მკვდარი. დაიტირა, ადგა, დაიქირა ზრისტაგანის რაში. ბელთაგანი—ტარიელი გულთა აზრი იყო. გულმა უთხრა, თუ სად იდგა ზრისტაგანის თმა. გასწია ზღვისაკენ, ჩახტა წყალში, მოუსვა და იწყო ძებნა. ეძება და დაინახა ერთ ადგილს ზღვის ძირში ქვიშაში თავი ამოეყო. დაყურყუმელა, წავიდა ძირს, მოჰკიდა თმას ხელი, გასცურა ნაპირისაკენ, შეახტა რაშს და მივიდა იქ, სადაც ზრისტაგანი მკვდარი იდგა. ეს თმა სადაც ება, იქვე მიაღწა. ზრისტაგანმა უცბად გაიღვიძა და სთქვა: „ჰა, ჯიმაღურელი, როგორი დამძინებია!“ მაგრამ-კი იცოდა, რაც უქირდა. შეგდნენ ტარიელები რაშებზე, დაჰკრეს მათრახი და იქ გაჩნდნენ, სადაც ქალი ფანჯრიდან ზღვის პირს დასცქეროდა. იცოდე, ეს ის დროა, რო ხვალ თავდება ქალის მიერ დანიშნული ვადა. ქალმა გაიხედა ზღვის პირისაკენ, დაინახა ორივე ტარიელი და ტირილს თავი დაანება. მოვიდნენ ტარიელები, შევიდნენ ხელმწიფის ეზოში. ხელმწიფემ, როდესაც დაინახა, სთქვა: „ვინ არიან, აქ რო შემოვიდნენო?“ ზრისტაგანმა დაუძახა: „მე ვარ და ჩემი ძმა ბელთაგან—ტარიელო“.

შევიდნენ სახლში, გატეხეს კარი, გამოიყვანეს ქალი მინდორს, დაუძახეს ხელმწიფეს: „მოგვიყვანე ამის მომყვანი დედაბერიო“. მაშინვე მოიყვანეს. ზრისტაგანმა რაშის კუდს მიაბა დედაბერი. შეგდნენ რაშებზე. ზრისტაგანმა თავის ცოლი ხელში აიყვანა. დაჰკრეს რაშებს ტარიელებმა და წამოვიდნენ ზევით-ზევით ჰაერით. მოვიდნენ ზრისტაგანის ეზოში. იქ მოისვენეს ორი დღე-ღამე. მესამე დღეს წავიდნენ ყველანი ბელთაგანის სახლს. იქ რო მოვიდნენ, დიდი სიხარული შეიქნა. ბელთაგანის ცოლი მოეგება მის რძალს, გადაეხვიენ ერთმანეთს და გადაკოცნეს. ერთი კვირის განმავლობაში იქ იყვნენ. ერთი კვირის შემდეგ ზრისტაგანმა უთხრა ბელთაგანს:

— ჰე, ძმაო, ეხლა წავიდეთ ჩემი დედისა და ბაბუის სახლშიო.

შეჯდნენ რაშებზე, წავიდნენ და მივიდნენ ხრისტაგანის ბაბუის სახლში. ყველა ცოცხალი დაუხვდა: დედა, ბაბუა, ბებია ღ ყველა თავისიანები. მოეგებნენ, დაჰკოცნეს, გადაეხვიენ. ხრისტაგანმა უთხრა ბაბუას: „ეს არის ჩემი ძმა ბელთაგანი— ტარიელი, ეს არის ჩემი რძალი, ეს—ჩემი ცოლიო“.

იყო მზიარულება, დიდი ქორწილი. დიდი წვეულება. ისეთი ქორწილი ჰქონდათ, ჩიტის რძეც არ აკლდათ.

მეც იქ ვიყავი ქორწილში. თქვენი გულიც მოწამეა, რა ამბავი ექნებოდათ.



დასრულდა ჩემი მოგონებები. მინდა გთხოვო, რომ ჩემს ადგილზე დასვათ ეს წიგნი. მინდა გთხოვო, რომ ჩემს წიგნს დასვათ ეს წიგნი. მინდა გთხოვო, რომ ჩემს წიგნს დასვათ ეს წიგნი.



## აჭარაში

**ს**ასო ფეიქრიშვილი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზდა იყო, როცა სამასწავლებლო სემინარია დაამთავრა და დანიშნულ იქნა მასწავლებლად აჭარაში, სოფ. სამთო-ში. მარიაშობისთვის დამღვეს ვასო თავის სოფლიდან ჩაეიდა ქალაქ ბათუმს. აქ ბევრი ძებნა არ დასჭირებია, რომ მიეგნო ართვინში მიმავალ ეტლთა კანტორისათვის და ეყიღნა იქ სამთოს ბილეთი დილიეთანზე.

უნდა ვსთქვა, რომ ვასოს ძლიერ ეხალისებოდა აჭარაში სამსახური. ჯერ კიდევ სემინარიაში ყოფნის დროს ის ოცნებობდა იმაზე, თუ როგორ იმოღვაწებდა განუვითარებელ, ბნელ ხალხში და შეიტანდა იქ სინათლის შუქს. ამასთანავე ძლიერ სურდა დაახლოვებით გაეცნო ის ღვიძლი, ოდესღაც საუკეთესო შვილნი საქართველოსი, რომელთაც ერთ დროს



შექმნეს თითქმის მთელი კულტურა და სიძლიერე თველოსი და დღეს კი რაღაც ცივად, უნდობლად და ეჭვის თვალით უცქეროდნენ; ისინიც თითქმის კიდევ უარყოფდნენ თავის სამშობლოს. დიად, ვასოს ძლიერ აინტერესებდა და იზიდავდა მუშაობა იმ ხალხში, რომელიც დროთა ბრუნვის გამო დროებით ჩამოშორებული, მოწყვეტილი იყო სამშობლო კერას და საქიროებდა მასთან შეერთებას. აი, ამ ერთ შემაერთებელ ძაფად ვასოსაც სურდა, რომ ყოფილიყო. სწორედ ამიტომ იყო, რომ ის მოუთმენებლად მოელოდა მეორე დღეს, და როცა უკვე მეორე დილას დილიდანში იჯდა, იმავე მოუთმენლობით მოელოდა მგზავრობის დასასრულს.

დილიდანში ვასოს გარდა ექვსი კაცი იჯდა. ორი მათგანი ართვინელი სომეხი იყო, ხოლო ერთი კი—ბერძენი. სამნივე ართვინში მიემგზავრებოდნენ. დანარჩენ ოთხ მაჰმადიან ქართველებში ვასოს ყურადღება ყველაზე უფრო ერთმა ოცდაათი წლის ქართველმა მაჰმადიანმა მიიქცია. მდიდარ, პრაპორშჩიკის ეპოლეტებით დამშვენებულ, შავ შესირბულ ჩაქურაში<sup>1)</sup> გამოწყობილი, ოქროთი მოვარაყებულ, ძველებურ დამბახა წელში გარკობილი და ოქრო-ვერცხლით შექედილ ხმალ-ხანჯლით შემორტყმული, მალალი, ფართე მხარ-ბეჭიანი, გიშერივით შავი დიდრონი თვალების მქონე, ის ნამდვილ განსახიერებას წარმოადგენდა ვაეკაცური სილამაზის და სიმარდისა. ის მოწიწება და მორიდება, რომლითაც დანარჩენი; მასზე ბევრად უხნიერესი მაჰმადიანნი და საერთოდ მგზავრები—მას ეპყრობოდნენ, ამტკიცებდა, რომ ეს ვაეკაცი, სახელად მურთაზ ეფენდი<sup>2)</sup>, დიდი გავლენიანი კაცი უნდა ყოფილიყო ამ მხარეში.

ვასო თითქმის აღტაცებით უსცქეროდა ამ წმინდა ქართველურ სილამაზის განსახიერებას. ამ დროს მურთაზ ეფენდი შეეკითხა მას რუსულად:

1) გურული ტანისამოსი.

2) ეფენდი—ბატონი, ეძახიან პატივსაცემ, ნასწავლ კაცებს.



— საით მიბძანდებით?

— სამთოში გაიხლდებით,— მიუგო ვასომ ქართულად.

— აჰ, ქართველი ბძანებულხართ; მე კი რუსი მეგონეთ. სამთოში რაზე მიბძანდებით?

— მასწავლებლად ვარ დანიშნული.

— მაშ ჩენი ხოჯა<sup>1)</sup> ეფენდი ბძანებულხართ? ჩვენც იქიდანა ვართ. ხედავთ, ჩენი ახალი ხოჯა ეფენდი ბძანებულა; გაეცანით,— მიმართა მურთაზ ეფენდიმ დანარჩენ მაჰმადიან ქართველებს, და ისინიც მიესალმნენ ვასოს.

— მაშ ის ლოთი რუსი, როგორც ეტყობა, გადაუყვანიათ. ძალიან სასიამოვნოა. გაგვაშწარა სწორედ,— სთქვა მურთაზ ეფენდიმ.

ამ დროს ისეთი მძლავრი ქარი ამოვარდა, რომ დილიყანი კინალამ გადააბრუნა. მგზავრები კახაბერში იყვნენ. კახაბერი ბათუმიდან † — ნ. ვერსის მანძილზეა, ფართედ არის გაშლილი და წარმოადგენს ერთადერთ სწორ სახნავე-სათეს ადგილს, რომელიც თითქმის მთელი ქვედა აქარის გაშომკვებად ითვლება. გზის ორივე მხარეს გადაშლილი იყო მომწიფებული სიმინდი, რომელსაც არ უჩნდა ბოლო. ზოგ ადგილს სიმინდი უკვე მოტეხილი იყო. თუმცა ჯერ ძალიან ადრე იყო, მაგრამ გზის განაპირა მდებარე ყანებში სტეხდნენ სიმინდს მაჰმადიანი ქართველების ქალები, რომლებმაც მგზავრების მიახლოებაზე ჩადრი აიფარეს და სახე მიიბრუნეს. კახაბერში მუდმივ ძლიერი ქარი იცის და ახლაც ცივმა ქარმა საკმაოდ აგრძნობინა თავი ვასოს.

ბოლოს, როგორც იქნა, გასცილდნენ კახაბერს და მთების კალთას შეაფარეს თავი. აქ ქარი აღარ ქროდა; შედარებით სითბო იყო. დილიყანის ჩამოშვებული ფარდები ასწიეს და მგზავრების წინ მშვენიერი სურათი გადაიშალა: ირგვლივ მწვანე გორაკები, უმრავლესობა ცხერის ფართი მოფენილი;

<sup>1)</sup> მასწავლებელი.



წინ ბუმბერაზი, ნისლით დაბურული, ღრმად ჩაფრთხილებული მთები და მათ შორის მომწყვდეული—ჩქარი, გაცხარებული, მღვრიე ქორაზი, რომელიც ისეთი თავგანწირულებით ახეთქებდა თავის მძლავრ, გაშმაგებულ ზვირთებს ორივე მხრით მედგრად ამართულ კლდეებს, თითქოს სურდა მათი დანგრევა და წალეკვა, რათა გაერღვია გზა და თავშეუკავებლად, თავისუფლად, ვრცლად მოჰყენოდა დედამიწის ზურგს.

მზემაც თითქოს მოიკრიბა ძალა, როგორც იქნა აშორდა მთის წვერს და დახედა მთების კალთაში მომწყვდეულ ცხოვრებას. მშვენიერი იყო ეს სურათი, მშვენიერი მით უფრო, რომ აქ ადამიანის თვალ წინ იშლებოდა მთელი რიგი წინააღმდეგობათა: ერთის მხრივ—სიცოცხლის მწვანე ფერადებით მოსილი, მხიარულად შეჯგუფული გორაკები; მეორე მხრივ—ცი—ცხოვრების უარყოფი, გარინდებული, განმარტოებული მთა, შავ სამოსელში გახვეული. ქვეშ—ბრაზ-მორეული, აღშფოთებული, მღვრიე ქორაზი; ზევით—კი—მშვიდი, მოსიყვარული, ცხოველყოფილი, ნათელი მზე...

ვასო ერთიანად მოჰხიბლა ამ სურათმა. ღონიერ ცხენებშემბული დილიქანი-კი მიჰქროდა ვიწრო გზაზე, რომლის ერთი გვერდით მთა-გორაკები იყო ამართული, მეორე გვერდით—კი, ქვეშ, ათი-თხუთმეტი საყენის სიღრმეზე, ჰქუხდა ქორაზი. რამოდენიმეჯერ დილიქანი ისე მიუახლოვდა ხრამის ნაპირს, რომ ვასოს ურუანტელმა დაუარა და კინალამ არ გადმოხტა დილიქანიდან, რამაც დანარჩენებში სიცილი გამოიწვია.

გზაზე წამ-და-უწყუმ ხედებოდათ სპილენძით დატვირთული ფურგონები. ვასოს კითხვაზე, თუ საიდან მოჰქონდათ ის, მურთაზ-ეფენდიმ უამბო, რომ მურღულში, რომელიც ბათუმს 62 ვერსით არის დაშორებული, მდიდარი მადნებია სპილენძისა; იქ ინგლისელებმა და ამერიკელებმა, რომელთა ხელში არის ეს მადნები, მთელი რიგი სპილენძის გასადნობი

ქარხნები გახსნეს. ამ ქარხნებში რამოდენიმე ასეული მუშა ეწევა შრომას. გადამდნარი სპილენძი ჩამოაქვთ ბათუმში, საიდანაც დასამუშავებლად საზღვაო-გარედ იგზავნება.

ამ დროს ვასომ თვალი მოჰკრა ჯერ მისგან უნახავ სურათს: ჯორჯის მეორე მხარეს ოთხი ნახევრად ტიტველა კაცი, მზრებზე გრძელ, ნავზე მიშბულ, თოკ-გადაკიდებულნი რაც ძალა და ღონე ჰქონდათ ეწეოდნენ ზევით ნავს, ხოლო მენსუთე, შიგ მჯდომი, ხან ერთ, ხან მეორე ადგილს აწვებოდა მთელი თავისი ძალღონით წყალში ჩაშვებულ ქოლოკს და მით ხელს უწყობდა ნავის წინსვლას. ნავში ელაგა სკამები, ღრგინები, მავიდები, რამოდენიმე სავარძელი და სხვა საოჯახო ნივთები.

გაკვირვებულ ვასოს კითხვაზე, თუ ვინ არიან ესენი და საით მიეზიდებიან ამ ბარგს, მურთაზ ეფენდიმ უთხრა:

— ესენი რეიზები<sup>1)</sup> არიან; ცხოვრობენ იმით, რომ ასე ეზიდებიან ბათუმიდან ართვინში და ართვინიდან ბათუმში ყოველგვარ ნივთებს, რომელთა გაზიდვა ფურგონით ძნელია. ნავები პირდაპირ ბათუმში არ ჩადიან, არამედ ჩერდებიან 8—9 ვერსის დაშორებით ბათუმზე: აქ მიიღებენ ართვინში წასადებ ნივთებს და გადმოალაგებენ ჩამოტანილს, რომელიც აქედან ბათუმში ფურგონებით ჩააქვთ.

ნავოსნობა ერთი უმთავრესი შემოსავლის წყაროა ჯორჯის ხეობაში მცხოვრებ აქარლებისთვის.

ართვინიდან და განაპირა სოფლებიდან ჩამოჰყავთ აგრეთვე მგზავრები და ჩამოაქვთ სხვა-და-სხვა ხილი, მთავალითად—ართვინის სახელგანთქმული, ტკბილი ყურძენი, თათრული ვაშლი, რომელიც ბლომად მოდის ჯორჯის ხეობაში, კარგ შემოსავალსაც იძლევა და კარგადაც ინახება, ზეთის ხილი; რომელიც ართვინში ხარობს, თხელ-კანიანი კაკალი; და სხვ. აგრეთვე ჩამოაქვთ ნავებით თამბაქო, რო-

<sup>1)</sup> მენავეები.



ომისაგან გამოწვეულ დაბრკოლებათა გამოშვებისა და საკირი გახდა ქალაქის შოვნა და ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქცია სამწუხაროდ იძულებულია დაარღვიოს თავისი დაპირება, — ორივე გამოცემის (მცირე-წლოვანთა და მოზრდილთათვის) წლიურ ხელის-მომწერთათვის პრემიად იოსებ ყიფშიძის მიერ „სამეგრელოში შეკრებილ ზღაპრების“ მიწოდება. ამ წიგნის ნაცვლად მსურველთ შეუძლიათ მიიღონ ამორჩეული ერთ-ერთი წიგნი „ნაკადულის“ შემდეგ დასურათებულ გამოცემათაგან: „მიწის ძვრა და ცეცხლის მტრქვეველი მთები“ გ. ანთელიძისა; „ბავშვობა და სიყრმე“, ლევ ტოლსტოისა, თარგ. ნინო ნაკაშიძისა; „ნახატებიანი საყმაწვილო მოთბრობები“ (ანდერსენის, ერ. სეტ. ტომპსონის, გ. ინსაინის და რ. კიპლინგის); „ორი მხატვარი“, მოთბრობა თარგ. დ. ავალიანიისა. მსურველთ ვთხოვთ მალე გეაცნობონ ამორჩეული წიგნის სათაური, რათა ეს წიგნი „ნაკადულის“ შემდეგ ნომერთან ერთად გაუგზავნოთ.

ნაკადულის ამ ნომრის გამოცემა უქალაქობისა და სტამბაში მომხდარ მომუშავეთა გაფიცვის გამო დაგვიანდა.

რედაქციამ მიიღო ზომები, რომ მომავალი წლიდან ჟურნალისთვის საკირო ქალაქის მიღება უზრუნველჰყოს.



გორც ართვინიდან, ისე განაპირა მდებარე ადგილებიდანაც. თამბაქო ჩვენში, მეტადრე არტანუჯში, ძალიან ბევრი მოდის და ძლიერ კარგი ჯიშისაც არის. სამავგიეროდ ბათუმიდან ამოაქვთ ნავთი, შაქარი, ჩაი, პურის ფქვილი და სხვა: ასე რომ ნავებს ჩამოაქვთ და ააქვთ ყველაფერი, რაც კი გაიყიდება და იყიდება.

— როგორ სძლებენ მერმე წყალში ამისთანა სიცივეში? — გაკვირვებით იკითხა ვასომ.

— ეს რა არის: თქვენ უნდა უყუროთ, ეფენდი, როგორ ეზიდებიან რეიზები ნავებს, როცა თოვს და ისეთი სიცივეა, რომ კაცი გარედ ვერ გამოდის. რას იზამ, გაკვირვება ყველაფერს შეგაჩვენებს, — დაუმატა მურთაზ ეფენდიმ.

ამ დროს გამოჩნდა გზის პირას ქვისა და აგურისაგან აშენებული რამდენიმე სახლი, და დილიყენიცი მალე გაჩერდა აქ. აქვე გაჩერებულიყო სხვა დილიყენებიც, სამი-ოთხი ფაეტონი და ფურგონები.

ეს სადგური „აქარის წყალი“ იყო. იგი ბათუმზე 16 ვერსით არის დაშორებული და სძევს სწორედ იქ, სადაც მდინარე აქარის წყალი კორაოხს ერთვის. სახელიც ამ მდინარესაგან აქვს დარქმეული. აქ ბათუმიდან მომავალი სახელმწიფო გზა ორად იყოფა: ერთი მიდის ართვინისაკენ, ხოლო მეორე — ახალციხეს. გზები საკმაოდ კარგად არის გაკეთებული.

სადგურ აქარის წყალს გარშემო ლამაზი შთა-გორაკები აკრავს. აქვე ახლოს გზის პირად არის ჩანჩქერი და ძველი გზა. ჰაერი კარგია; ამიტომ აქ ბევრი მოსეირნე ხალხი დაიარება ბათუმიდან და თავისუფალ, სუფთა ჰაერზე მადიანად შეექცევა საჭმელს და აგრეთვე სტკბება ბუნების ლამაზი სურათებით.

მგზავრებმა აქ ჩაი დალიეს დუქანში, სადაც იდგა თამბაქოს ხშირი ბოლი. ნახევარი საათის დასვენების შემდეგ გაუდგნენ კვლავ გზას.

## II

სოფელი სამთო ლამაზ ადგილას მდებარეობს: ერთი მხრით ჩაუდის მდინარე ქოროზი, მეორე მხრით ამართულია მთები; თვით-კი გაშენებულია კობტა ბორცვებზე და გარშემორტყმულია ყანებით. სახლები აქ თითქმის ყველა ქვისა, ან აგურისაგან არის გაკეთებული. ეტყობა—აქ ქვა და აგური ბევრად უფრო იაფია და ადვილი საშოვნელი, ვიდრე ხე.

შუა სოფელში ამართულია დიდი ჯამე, რომლის მინარეთი 25 საცენის სიმაღლეა. იქვე გვერდით არის პატარა შენობა, სადაც აქაური ხოჯა ასწავლის ბავშვებს არაბულ ენას და ლოცვებს.

არაბულად ლოცვების სწავლა სავალდებულოა ყველა ქართველ მაჰმადიანისათვის, განურჩევლად სქესისა. ქალებს ასწავლიან მხოლოდ 12 წლამდის; შემდეგ ისინი უკვე სახეზე ჩადრს იფარვენ და მამაკაცს, გარდა თავისიანისა, პირ-ახდილნი აღარ ეჩვენებიან. მთავრობის სკოლაში ერთ ქალსაც ვერ შეხვდებით: ისინი თავის ხოჯასთან სწავლობენ, ისიც მხოლოდ კითხვას; წერას მათ არ ასწავლიან.

ერთ საღამოს სამთოს უმთავრეს ყავახანის წინ ჩვეულებისამებრ თავი მოეყარათ მცხოვრებლებს. ზოგი ნარდს თამაშობდა, ზოგი ტკბილ თათრულ ყავას სვამდა, ზოგიც მასლაათობდა. ყავახანას აქაურ სოფლელების ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს: აქ იკრიბება ხალხი თითქმის ყოველ დღე, აქ იგებს ახალ ამბებს და მსჯელობს; აქვე ეხება და სწყვეტს ამა-თუ-იმ შინაურ საკითხს. მგონი არც ერთი აქარელი, სამთოს მცხოვრები, არ ატარებდა იმდენ დროს სახლში, რამდენსაც ანდომებდა უქმად ჯდომას ყავახანაში. ასე თუ ისე, დღესაც აქ იყვნენ სამთოელები შეგროვილნი ყავახანის წინ და ერთობოდნენ. ჩვენი ნაცნობი მურთაზ ეფენდიც აქ იყო. მის გვერდით, თავზე თეთრ საროდ<sup>1)</sup> შემოხვეული, იჯდა 40

<sup>1)</sup> გრძელი თეთრი ტილო, ან მიტკალი.



წლის, ქალაქ-შერეული, სიმპატიური სახის კაცი. ეს ნამდვირ მუდერისი<sup>1)</sup> იყო.

ლაპარაკი ახალ მასწავლებელზე ჩამოვარდა.

— რას იტყვით, ეფენდი, ჩვენს ახალ ხოჯაზე?— ჰკითხა მურთაზ ეფენდის ერთმა ღარიბულად ჩაცმულმა მაჰმადიანმა.

— აბა რა ითქმის: ჯერ ახალი ცოცხია; ისე ურიგო ყმაწვილი არ უნდა იყოს,— მიუგო მან.

— ურიგო-კი არა, ნამდვილი წმინდანი, სწორედ მუსლიმანი კაცი ყოფილა: თურმე ღვინოს არ სვამს,— ჩაერია ღაპარაკში მეორე მაჰმადიანი.

— რას ამბობ, კო<sup>2)</sup>: ქრისტიანი კაცი, და როგორ შეიძლება ღვინო არ უნდოდეს?!— გაკვირვებით შეეკითხა ყველა და ზოგმა ნარდის თამაშსაც დაანება თავი.

— რა ვიცი, ასე-კი ყოფილა და. მეც ძალიან გამიკვირდა პირველად და არ მჯეროდა; მაგრამ მეორე მასწავლებელმა, ნიკომ და ქათიბმა<sup>3)</sup>, სთქვეს, რომ ეს სამი კვირა არის ჩვენთან სადილობს და არც ღვინოს და არც არაყს ახლოს არ იკარებსო.

ამ ამბავმა ყველანი გააკვირვა და, როგორც ეტყობოდა, კიდევ ასიამოვნა და აამაღლა მათ თვალში ახალი მასწავლებელი.

— პატიოსანი ყმაწვილია მართლაც:— ხედავთ აგერ სამი კვირა გადის, და ერთიც არ შემოუხედავს ყავახანაში, სხვები-კი პირველ დღიდანვე აქ ატარებდნენ დროს. ეს კი ზის თავის ოთახში და შუალამედის ან წიგნს კითხულობს, ან სოფლებში დაიარება,— მინდა გავიცნო აქაურობა, ძალიან მომწონსო, მითხრა გუშინ-წინ,— სთქვა მუდერისმა.

<sup>1)</sup> სამღვდლო პირი, რომლის თანამდებობა დეკანოზობას უდრის.

<sup>2)</sup> ბიკო.

<sup>3)</sup> სოფლის მწერალი.

— ბავშვებსაც რომ შეუყვარდათ, კაცო: წინაღობა (მე-დარცხს) ჯობით ვერ შედენიდი კლასში, ისე ეზარებოდა, და ახლა გაათენებული არ არი, რომ წამომბტარია და მირბის,—არ დამაგვიანდეს და მასწავლებელს არ ეწყინოსო,—სთქვა ისევ პირველმა მაჰმადიანმა.

— აი, ამას წინაღ დურსუნას, „ზაფთიად“ <sup>2)</sup> რომ არის, ისეთი არძვალი <sup>3)</sup> დაუწერა, რომ კაცი ორი თვის ციხეს გადაარჩინა; მთელი თაბახი ქაღალდი გაავსო თურმე და ფული-კი არ გამოართო,—სთქვა ერთმა მაჰმადიანმა დარაჯმა.

— იქნებ ცოტა შეიძლია და ეწყინა,—სთქვა მურთაზ ეფენდიმ.

— რომელი ეწყინა, ეფენდი: დურსუნამ ჯერ სამი მანეთი დაუღო წინ თურმე, მარა იმან ისევ ჯიბეში ჩაუღო. ამნაც იფიქრა, ცოტა ეჩვენათ, და დაუმატა მანეთ-ნახევარი; მაგრამ მაინც არ გამოართვა თურმე.

მე ცოდნა იმისთვის მაქვს, რომ ხალხს მოვახმარო; ღმერთიცა და ხალხიც დამსჯის, ასეთ უბრალო საქმეზე ხელი რომ არ გავიწუო; ფული რო გამოგართვა, მერე თვალში როგორ შემოგხედო.

ეს თითქმის პირველი მაგალითი იყო, რომ ადამიანს აქაური კაცისათვის თხოვნა დაეწეროს და ფული არ გამოერთბოს; სწორედ ამიტომ ყველანი გაკვირვებამ მოიცო.

— კარგი კაცია, რა თქმა უნდა, მაგრამ ამ „გურჯიჯეს“ <sup>4)</sup> სწავლება რომ უნდა ღარკებისთვის, ივარგებს ეს, ეფენდი?—იკითხა ერთმა დამსწრემ.

მუდერისი შუქრი ეფენდი ქვეიანი კაცი იყო; სწავლა სტამბოლში მიეღო. მშვენიერად იცოდა ფრანგული და არაბული ენა. როგორც საზოგადოდ აქარელთა უმრავლესობას, რომელთაც ოსმალეთში უსწავლიათ, ან ყოფილან, ისიც აქაურ ხოჯებსავეთ ფანატიკოსი არ იყო და ის შეხედულება ხოჯე-

<sup>1)</sup> ბავშვს. <sup>2)</sup> დარაჯი. <sup>3)</sup> თხოვნა. <sup>4)</sup> ქართულის.





ბისა და ბნელ ხალხისა, ვითომ ქართული ენის სწავლებას ხელს შეუწყობს ბავშვების რჯულზე გადადგომასო, მას არ სწამდა. ამიტომაც მან სთქვა:

— ასწავლოს: ეს ჩვენი ბავშვებისათვის სასარგებლო თუ იქნება, თორემ ზარალს არ მოუტანს. აი, მეცა ესთხოვე გუშინ ახალ ხოჯას რუსულის სწავლებას; იმან მაჩვენა წიგნი, სადაც ერთი და იგივე საგანი რუსულადაც არის და ქართულადაც; ასე რომ, თუ რუსული დაგავიწყდა, მაშინ ქართულს დახედავ და გაიხსენებ. ამიტომ რუსულის კარგად შესასწავლად საკიროა ქართულის ცოდნა. რჯულის სიწმინდეს ეს ხელს არ შეუშლის. თუ რუსულს ვასწავლით ბავშვებს და არ გვეშინია, ქართულის რატომ უნდა გვეშინოდეს? თქვენ რას იტყვით, ეფენდი, ამაზე?— მიმართა მუდერისმა მურთაზ ეფენდის.

— რა უნდა ესთქვა: ხოჯა ის არის, ჩვენი მუდერისი თქვენა ბრძანდებით; ხალხიც აგერ არის; როგორც სჯობდეს, ისე გადაწყვიტეთ,— მიუგო მურთაზ ეფენდიმ.

— ჩვენთვის რომ არ სჯობდეს, ახალი ხოჯა— ისეთი კაცია, რომ არ გვირჩევდა,— სთქვა ისევ პირველმა მაჰმადიანმა. ყველა დაეთანხმა მას. ასე გადაწყდა ქართული ენის სკოლაში შემოღების საქმე.

### III

მესამე, მეოთხე და მეხუთე განყოფილებათ, სადაც 16 - 17 წლის ყმაწვილებიც ისხდნენ, ვასომ ერთ დღეს ნიკოლოზ მოურის მოთხრობა „ქაჯანა“ წაუკითხა. მეოთხე გაკვეთილზე ვასომ გამოჰკითხა მოწაფეთ შინაარსი მოთხრობისა, და როცა დარწმუნდა, რომ ახსოვდათ, ჰკითხა:

— იცით, ბავშვებო, რატომ წაგიკითხეთ ეს მოთხრობა?

— იმიტომ რომ კარგი იყო, — მიუგო ერთმა ფეს — დახურულმა, ჩაქურაში <sup>1)</sup> გამოწყობილმა მოწაფემ.

— ეგეც მართალია; მაგრამ უმთავრესად იმიტომ წაგიკითხეთ, რომ ამ მოთხრობის გმირი, „ქაჯანა“, თქვენ, ქართველ მაჰმადიანებს გგავთ.

ბავშვები გაჰკვირდნენ.

ვასომ განაგრძო:

— რა იყო ქაჯანას ნამდვილი სახელი?

— სიმონა! — ერთხმად უპასუხა ყველამ.

— რა დაარქვეს ამხანაგებმა სიმონას?

— „ქაჯანა!“ — წამოიძახეს ისევ.

— რატომ დაარქვეს ეს სახელი?

— იმიტომ, რომ სიმონა ხშირად სიტყვა „ქაჯანს“ ურევდა ლაპარაკში.

— სწყინდა, თუ არა სიმონას, პირველად „ქაჯანა“ რო დაუძახეს?

— ძალიან სწყინდა; მაგრამ მერმე ისე შეეჩვია „ქაჯანას“ ძახილს, რომ „სიმონას“ სახელს გადაეჩვია და ამის დაძახება კიდევ სწყინდა, — მიუგო თექვსმეტი წლის ბიჭმა, ქკვიანური თვალების მექონე ტასი გორგოშიძემ.

— აი, სწორედ თქვენც ასე დაგემართათ. თქვენ წინად, როგორც არა-ერთხელ მითქვამს თქვენთვის, ქართველები იყავით, მაგრამ როცა მუჰამედის რჯული მიიღეთ, ჩვენ თათრები გიწოდეთ. პირველად თქვენ, სიმონას არ იყოს, გწყინდათ თათრის დაძახება, მაგრამ შემდეგ ისე შეაჩვიეთ ყური და ისე გადაეჩვიეთ თავის ნამდვილ სახელს, რომ დღეს კიდევ გწყინთ ქართველის დაძახება. ასე არ არის, ნეჯი? — ჰკითხა ვასომ წინ მჯდომ 15—16 წლის ყმაწვილს.

— დიად, სწორია, ბატონო! — დამორცხვებით მიუგო ნეჯიმ.

<sup>1)</sup> გურულ ტანისამოსში.

— უნდა იყოს შერე ასე?

— არა, არ უნდა იყოს,—ერთხმად დაიძახა ყველამ.

— მაშ დიხსოვნეთ ეს ამბავი, და ისიც, თუ როგორ შეიძლება აღამიანმა თავის ნამდვილ სახელს გადაეჩვიოს და სხვა სახელს შეეჩვიოს.

შემდეგ ვასომ მოკლედ, ადვილ-გასაგები ენით უამბო ბავშვებს მათი წარსულისა და მათი გამაჰმადიანების ისტორია.

ამის შემდეგ ბავშვები მხიარულად დაიშალნენ.

როცა ვასომ უამბო ნიკოს, თუ რა წაუკითხა და რაზე ესაუბრა დღეს ბავშვებს, ნიკომ უკმაყოფილოდ შენიშნა:

— ეგ ცუდი გიქნია: ამას შეუძლია დიდი უსიამოვნება გამოიწვიოს ხალხში, და ვინ იცის-რით გათავდება საქმე.

— რატომ: მე ხომ ცუდი არა მითქვამს-რა?

— ცუდია თუ კარგია, ამისთანა ლაპარაკი არ არის საქირო ამ ხალხში,—მიუგო ნიკომ.

ნიკოს სიტყვები რამოდენიმედ გამართლდა. ბავშვებმა სახლში მისვლის დროს უამბეს მშობლებს, თუ რა საუბარი ჰქონდა მათთან ახალ მასწავლებელს. ზოგიერთები, უმთავრესად—ბოჯები, მართლაც აღელდნენ.

მეორე დღეს პარასკევი—ჯუმა\*) იყო. მოწაფენი შუადღეზე სალოცავად დაითხოვეს. ვასო სკოლის აივანზე იჯდა და უყურებდა, თუ როგორ ეშადებოდნენ ლოცვისათვის მაჰმადიანი ქართველები: ისინი იბანდნენ ფეხებსა და ხელებს მკლავებამდის და ფეხ-აკრფით შედიოდნენ ჯამეში, სადაც არაბულ ენაზე უქადაგებდა მათ ბოჯა.

ლოცვა მალე გათავდა და ხალხიც, რომელიც ბლომად შეგროვილიყო ახლო-მახლო სოფლებიდან, გარედ გამოვიდა. მუდერისი და სამი ხანში შესული ბოჯა სკოლისაკენ გაემართნენ. ხალხიც მათ გაჰყვა. აივანზე ასვლისას ისინი არა-

\*) მაჰმადიანები კვირის მაგიერ პარასკევს უქმობენ.

ბული წესით მიესალმნენ ვასომ. ვასომ სკოლის ოთახიდან სკამები გამოიტანა და ხოჯები დასხდნენ. ჩამოვარდა ხანმოკლე სიჩუმე. ბოლოს მუდერისმა, თითქოს ძალდატანებით, იკითხა:

— ეფენდი, ამ ხოჯებს რაღაც გაუგონიათ თქვენზე, და მართალია, თუ არა?

ვასომ გაკვირვებით შეხედა მათ.

— ეფენდი, — დაიწყო ერთმა ქალარა-შერეულმა მან წლის ხოჯამ: — თქვენზე ბევრი კარგი გავგიგონია; ღვთის კაცი გვეგონე, და დღეს კი შევიტყუეთ, რომ ჩვენი გაგიაურება გდომებიან?

— როგორ თუ გაგიაურება? — გაკვირვებით შეეკითხა ვასო.

— გაგიაურებაა, თუ გაქართველება, ეს სულ ერთია, — მიუგო ხოჯამ.

— არა, ეფენდი, ეგ არ არის სულ ერთი: გაიური ურჯულოს ნიშნავს, ჩვენ კი, ქართველები, იმ ისხას<sup>1)</sup> რჯული-სა ვართ, რომელსაც თქვენ დიდ პატივსა სცემთ. მაშასადამე გაიური არ ვართ; ასე არ არის, ეფენდი? — შეეკითხა ვასო მუდერისს.

— დოდრი<sup>2)</sup> ბრძანებაა! — მიუგო მუდერისმა. — ალი ხოჯა შესცდა: იმას უნდოდა ეთქვა, რომ თქვენ, ეფენდი, ჩვენი გაქართველება გინდათ. ეს ხომ მართალია!?

— მართალია, — მიუგო ვასომ, რომელმაც იცოდა, რომ მუდერისი გულში მისი მომხრე იყო, მაგრამ ხალხის წინ ეს ვერ ეთქვა, რადგანაც მისი უმეტრების და ძველი ხოჯების ფანატიკოსობის ეშინოდა.

<sup>1)</sup> ისხას ეძახიან მაჰმადიანები იესო ქრისტეს.

<sup>2)</sup> სწორი.

ამის გაგონებაზე ხალხი შეინძრა. ხოჯებმა ბრაზით აღსავსე თვალები მიაპყრეს ვასოს. ისიც გრძნობდა, რომ დადგა მნიშვნელოვანი წამი.

— როგორ, ჩვენი გაქართველება გინდათ? — შეეკითხნენ ხოჯები.

— არა, გაღვიძება, რადგანაც თქვენ ისედაც ქართველები ხართ.

— ჩვენ თათრები ვართ, და არა ქართველები, — დაიძახა ხალხმა.

— მაშ თქვენი გვარები, სოფლის სახელები, ეკლესიები თქვენი სახე და სხვა — რატომ ამტკიცებენ თქვენ ქართველობას?

— ჩვენ ქართველები წინად ვიყავით, ქრისტიანობის დროს, მაგრამ დღეს თათრის რჯული გვაქვს, და ამიტომ თათრები ვართ .. — ნიშან-მოგებით სთქვა ისევ იმ გრძელ-წვერა ხოჯამ.

— მაშ რატომ ინდოელები, მონგოლები და ოსმალები თავის თავს არაბებად არ სთვლიან, თუმცა რჯული მუჰამედისგან მიიღეს და მუჰამედი-კი არაბი იყო; რატომ ჩვენ, ქართველები, არ გამოვიცვალენით და ისევ ქართველებად დავრჩეთ, როცა ქრისტიანობა მივიღეთ; რატომ რუსები ბერძნები არ გახდნენ, თუკა რჯული ბერძნებისაგან მიიღეს? მიპასუხეთ, ეფენდი, ამ კითხვაზე. რატომ მაინცა-და-მაინც რჯულთან ერთად მხოლოდ თქვენ უარპყავით ეროვნება მთელ დედა-მიწის ზურგზე, და სხვამ არაფერი?

ხოჯები დაიბნენ: არ იცოდნენ-რა ეპასუხათ. დანარჩენები გაკვირვებით უყურებდნენ ერთმანეთს. ვასოც, ამით გამხნეებული, განაგრძობდა:

— როცა ჩვენ შორის დამოკიდებულებას ჩაუყვირდები, მაშინათვე ერთი ჩემი მეგობარი გამახსენდება: ის პლიდარი ოჯახის შვილია. ორი თვის იყო, როცა მძიმედ ავადმყოფ

დედას მოაშორეს და ძიძას მისცეს გასაზრდელად. დედამ, როცა კოტათი გონს მოვიდა, შვილი იკითხა, და რომ ვერ დაინახა, შეწუხდა. ექიმების რჩევით ქმარმა ის საზღვარ-გარედ წაიყვანა მოსარჩენად. გადიოდა ხანი. ბავშვი ექვსი წლის გახდა. ისე შეეჩვია ძიძის ოჯახს, რომ თავისი მკვიდრი ოჯახი ეგონა და ძიძას დედას ეძახდა. სწორედ ამ დროს ბრუნდება უკვე საკმაოდ მორჩენილი დედა ჩემი მეგობრისა და მოაკითხავს წასაყვანად ბავშვს; მაგრამ შვილი მას არ მიჰყვება, წინააღმდეგობას უწევს, და ბოლოს დედა, სხვისი დახმარებით, წაიყვანს სახლში. აქ ბავშვი დარდობს, არავის არ ეკარება ახლოს, დააპირებს კიდევ რამოდენიმეჯერ გაპარვას ძიძასთან, მაგრამ ყოველთვის შეუტყობენ და უკან აბრუნებენ აკრემლებულს.

ასე გადის რამდენიმე ხანი. ჩემი მეგობარი სკოლაში შეტყავთ. სწავლობს და თან-და-თან გონება ეხსნება. დედა და უფროსი ძმები მზრუნველობით და სიყვარულით ეკიდებიან. ისიც გრძნობს ამას. ბოლოს, როცა შეამჩნევს საოცარ მზგავსებას თავისა და ძმებს შორის, საბოლოოდ რწმუნდება, რომ მისი ნამდვილი დედა ამათი დედა იყო...

დღეს ჩემ მეგობარს ვაგიჟებით უყვარს თავისი დიდილი დედა და ძმები, მაგრამ ამასთანავე მადლიერია და არ იფიქრებს იმ ძიძას, რომელმაც ის თავისი რძით გამოკვება და გამოზარდა.

თქვენც ასე დაგემართათ საქართველოს დაუძღურების დროს თქვენ, ჩვილ ბავშვებსავე დასუსტებულნი, მოგწყვიტათ ავადმყოფ დედას ოსმალეთმა და თავისთან გასაზრდელად წაგიყვანათ, კიდევ აღზარდათ მაჰმადის რჯულზე, და ისე შეგჩვიათ, რომ თავისი დედაც კი გადაგავიწყათ.



შემდეგ მოვიდა საქართველო და სხვისი დახმარებით ისევ სახლში, მკვიდრ ოჯახში დაგიბრუნათ. თქვენ, ბევრი ხნის უნახაობით დედას გადაჩვეულნი, ჯერ უნდოდ უცქერით, მაგრამ აღრე დაინახათ, და ზოგი კიდევ ხედავს, რომ თქვენი ნამდვილი, მშობელი დედა—საქართველოა,—დაათავა თავისი სიტყვა ვასომ.

გაკვირვებით ისმენდა ხალხი ვასოს აღვლევებულ, მგრძობიარე სიტყვებს და არაფერს საწინააღმდეგოს, არაფერს ცუდს არ ხედავდა მის სიტყვებში; სწორედ ამიტომ იყო, რომ, როდესაც ვასომ თავისი სიტყვა დაათავა, ხალხში გაისმა თანაგრძობის და თანხმობის გამომხატველი სიტყვები: მართალს ბრძანებს მასწავლებელი ეფენდი, ჩვენ ქართველები ვართ.—ჰო, ერთი უყურე ამ მასწავლებელ ეფენდის, რაფერ კარგად ლაპარაკობს,—ეუბნებოდა ერთი ქართველი მაჰმადიანი მეორეს.—აბა რა გგონია, ქკვიანი კაცია,—უბასუხა მეორემ.

ეს დღე საუკეთესო სამახსოვრო დღედ გადაექცა ვასოს მთელ ცხოვრებაში. ამ დღემ ბევრი თანამგრძობი და მოზიარე მოუპოვა მას ხალხში. ამ დღიდან მუდგობისი და რამოდენიმე შეგნებული პირი ამოუდგნენ მას გვერდით და უკვე გაბედულად ამბობდნენ ხალხში, რომ ისინი ქართველები იყვნენ. ეს დღე ვასოს სრული გამარჯვებით დასრულდა და სახელიც მოუხვეჭა ..

მაისის ღამის ათი საათია. ჰაერი ყვავილების სურნელებითაა აღსავსე. ვასოს ოთახის ფანჯარა გაღებულია. ისიც მისჯდომია მაგიდას და წერილსა სწერს.

ძმომ ანდრო!

შენი წერილი ეს არის მივიღე; მეკითხები—მაქვს თუ არა იმედი, რომ სამაჰმადიანო საქართველო ბოლოს შეიგნებს თავის ვინაობას და დაუბრუნდება სამშობლო კერას?

პასუხის მაგიერ, მსურს წუხანდელი ჩემ მიერ ნახული სურათი და მით დანატოვები შთაბეჭდილება აგიწერო.

შუალამე იყო. ქოროხის ნაპირას ვიდექი. ღრმა დუმილით მოცული, თავისი ძლიერების გრძნობით გამსქვალული მთები მალლიდან დამცქეროდნენ. ცის ლაქვარდოვან ეთერში კაშკაშებდა პირსავსე ლალი მთვარე და უხვად აფრქვევდა თავის საამურ, ნათელ შუქს დედამიწას, რომელიც ტრფობით და უზომო სიამოვნებით ეხვეოდა გამქვირვალე სხივთსამოსელში.

ცის ტატნობი ერთობ გადაწმენდილი მთვარე ვარსკვლავებით გაკიანთებული იყო. ამ ღროს უეცრად მის კიდურზე გამოჩნდა შავი ზოლი,—გადიდდა, შავ ღრუბლად იქცა და გაექანა მთვარესაკენ, რომელიც ყველაზე მეტ სინათლეს და სიამეს ჰყენდა არე-მარეს. აი, კიდევ მიუახლოვდა, გადაეფარა და მთელი თავისი სიმძიმით დააწვა თავისუფლების მოყვარულ მკერდზე.

მთვარეს თითქოს სული შეეხუთა, შეინძრა, მოინდომა განთავისუფლება, მაგრამ ამაოდ: ღრუბელთ თან-და-თან ძალა ემატებოდათ, მას კი ელეოდა.

დაბნელდა სინათლის მყენი მშვენიერი მნათობი, ღრუბელთ სავანეში გაეხვია; ის თითქოს დაემორჩილა, შეეჩვია თავის ხვედრს...

ოთახში დაებრუნდი, დიდხანს ვიჯექი ფანჯარასთან ჩაფიქრებული. ამ სურათმა ნათლად წარმომიდგინა თვალწინ





სამაჰმადიანო საქართველოს ბედი. მართლაც, გადაწმენდილ ცის ტატნობზე მოკაშკაშე მთვარეს არა ჰგავდა ძველი მეხეთი, საიდანაც ეფინებოდა მთელ საქართველოს მეცნიერება-განათლების ნათელი შუქი? განა მთელ ჩვენ სამშობლოს არ ედგა ერთგულ დარაჯ-მფარველად ეს საუკეთესო ნაწილი საქართველოსი? განა ტრფობით და მოწიწებით არ შესცქეროდა მას მთელი საქართველო?! და ბოლოს, განა ისიც, ამ ნათელ მთვარესავით, არ გახდა მსხვერპლი შავ ღრუბლებისა? განა მისი ხელოვნება და მეცნიერება მთვარის ნათელ შუქსავით არ გაითქვიფა უფიცობით მოსილ, მასზე დროებით გაბატონებულ ხალხში? და განა ისიც ამ მთვარესავით არ შეეჩვია, არ შეურიგდა, უნაყოფო წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, ირგვლივ გამეფებულ სიბნელეს?

ღიად, სწორედ ასე დაემართა სამაჰმადიანო საქართველოს! მაგრამ, როგორც მხოლოდ გუშინ სიბნელით მოცული მთვარე, დღეს უკვე განთავისუფლებულა და კვლავ საამო, ნათელ შუქს ჰფენს არე-მარეს, სწორედ ასე, ღრმად ვარ დარწმუნებული დღევანდელი სამაჰმადიანო საქართველოც ადრე სრულიად თავს დააღწევს უმეცრების და სიბნელის სამფლობელოს და კვლავ სინათლით მოსილი და აღდგენილი აკაშკაშდება სამშობლოს საყვარელ მკერდზე.

შენ უსათუოდ მიხვდები, რომ ამ წერილში მე არ ვებები ჩვენი თანამოძმეების რჯულს, რომელიც წმიდათა-წმიდას შეადგენს ყოველი მაჰმადიანისას, არამედ ვგულისხმობთ იმ გონებრივ სიბნელეს, განუვითარებლობასა და ფანატოზმს, რომელიც დამყარდა ოსმალეთის ბატონობის დროს თავისი

მეცნიერებით და სწავლეულებით ოდესღაც სახელგანთქმულ ქვეყანაში. ამ შეუგნებლობასთან, ამ გონებრივ ჩამორჩენასთან საპირობა ბრძოლა, ბრძოლა სწავლა-განათლებით და სიყვარულით.

მაშ, იმედს ნუ ვკარგავთ, საყვარელო ძმაო: საპირობა ბრძოლა უმეცრებასთან, საპირობა მუშაობა, და ჩვენც ვიმუშაოთ.

შენა ძმა ვასო.

პატარა გოგი.





# ბრუნო

## ანუ ღრუბელთა ქვეშ



I

აღალ აღპის მთის უღელტეხილთა შორის, გადაგრაგნილ შარა-გზის პირად, სადაც თითქმის მუდამ გამოუღეველია თოვლი და ყინვა, იდგა პატარა, შვეიცარიის გეგმაზე აშენებული სახლი და შიგ ცხოვრობდა

მოხუცი კოლ-ქმარი ევრარი.

ოდესღაც ახალგაზღობისას ეერარი, როგორც ვანთქმული „ყოლაოზი“ გზის მაჩვენებელი, კარგად მკოდნე იმ მიდამოებისა, მოგზაურთათვის მეტად სასარგებლო კაცი იყო: ყველას უყვარდა და ღირსეულადაც ასაჩუქრებდნენ. ეერარიც თავის მოვალეობას ყოველთვის პირნათლად ასრულებდა. იმ დროს კი, რომელსაც ჩვენი ამბავი შეეხება, ის იმდენად მოხუცებული იყო, რომ ყოლაოზობა აღარ შეეძლო; მაგრამ მას ჰყავდა მისივე გაზრდილი სენ-ბერნარის ჯიშის ძალღი ბრუნო, რომელიც სავსებით ასრულებდა მის მაგიერობას.

ბრუნო ჰკვიანი ცხოველი იყო, როგორც საზოგადოდ სენ-ბერნარის ჯიშის ძაღლებია ხოლმე: ისინი თან-დაყოლილი ნიქით ზოგ ადამიანსაც კი სჯობნიან. მეტადრე დიდ თოვლიანობის დროს, საშინელ ზეავებში, რაც ისე ხშირად არის ხოლმე შვეიცარიის მთა-გორებიან ადგილებში, სენ-ბერნარის ძაღლები შეუდარებელი არიან: ეს ძაღლები ზეავს ქვეშ მოყოლილ ადამიანს საუცხოო სიფრთხილითა და სისწრაფით სძებნიან, უცებ თოვლს აკლიან, მოასულიერებენ, შემდეგ ზურგზე შეისმენ და სამშვიდობოზე გამოჰყავთ.

აღპის მთის კალთებზე ერთობ ბევრია ისეთი უდაბური გზები, სადაც ზამთარში ძლიერ ხშირი და საშიშარი ზეავები იცის, და აი, ამ სახიფათო გზის პირებზე, აქა იქ არის მიდგმული თითო-ოროლა სახლი, სადაც ცხოვრობენ გამოცდილი „ყოლაოზები“; ზოგ მათგანს კი ჰყავს გზის მაჩვენებლად მთელ ქვეყნიერებაზე ცნობილი სენ-ბერნარის ჯიშის ძაღლებიც.

მოგზაურნი ხშირად შეხედებიან ხოლმე ამ ძაღლებს, რომლებსაც ყელზე ჰატარა ტოპრაკი ჰკიდიათ პურითა და ღვინით; დადიან ამ უდაბურ გზებზე, რომ ნაპოვნ ადამიანებს სული მოაბრუნებინონ.

ერთი ყოლაოზთაგანი იყო მოხუცი ეერარი.



ბრუნოს, ეერარის ძაღლს, მთელი იმ მიდამოს ხალხი იცნობდა; დიდი, ვეგებრთელა, გრძელ-ყურებიანი ძაღლი იყო, ბანჯგელიანი კულითა და ვარდისფერ, მუდამ წინ გამოწვდილ ენით.

ბრუნო იმდენად გონიერი ცხოველი იყო, რომ ყველაფერი კარგად ესმოდა, მაგრამ რაც შეეხება ყოლაოზობას, მოგზაურთათვის გზის გაკვლევას, ბრუნოს ეს ადამიანზე უფრო კარგად შეეძლო. გარდა ამისა ეერარის ყოველივე სიტყვა ბრუნოს უნაკლულად ესმოდა და ყველაფერს სისწორით ასრულებდა.

— ბრუნო, — ეტყოდა ხოლმე ეერარი თავის გაზრდილ ძაღლს, — აბა, გასწი, გაუძღელ წინ ამათ და მიიყვანე ჰავარნში.

ძაღლიც მაშინვე გაუძღვებოდა მოგზაურთ და პირდაპირ დანიშნულ ადგილას მიიყვანდა.

## II

იმავე მიდამოში, ერთ მახლობელ გზატკეცილთან ცხოვრობდა კიდევ ერთი ყოლაოზი, ვინმე ფელისანი.

სანამ ეერარს ბრუნო არ ჰყავდა, ფელისანს საკმაო შემოსავალი ჰქონდა. მოგზაურები იმასთანაც დადიოდნენ, მიჰყავდათ გზის მაჩვენებლად და ამისათვის შესაფერ სასყიდელსაც აძლევდნენ. მაგრამ როცა ეერარმა ძაღლი გაიჩინა, ფელისანს თან-და-თან მოაკლდნენ მოგზაურნი და რამდენიმე ხნის შემდეგ თითქმის სრულიად ჩამოშორდნენ.

ფელისანი აღარავის ახსოვდა. ყველა მოგზაური პირდაპირ ეერართან მიდიოდა და ბრუნო დიდის ხალისით მიჰყავდათ.

ფელისანს ეს ვარემოება, რა თქმა უნდა, ძლიერ აწუხებდა. იგი ღარიბი კაცი იყო, სარჩენიც ბევრი ჰყავდა: მოხუცი დედა, ნახევრად ბრმა დაჟ და შეიდი წლის ვაჟი — ეაკი.

— ოჰ, ეს ძალლი!—იტყოდა ხოლმე ხშირად ფელისანი, — რა ეშმაკმა გააჩინა, და ისიც აქ, ამ ჩემ მიდამოზე? რა ეჭნა-ალარ ვიცი: ლამის ულუკმაპუროდ დაფრჩე...

ძლიერ უნდოდა ფელისანს ამ ძალლის თავიდან მოშორება, მაგრამ ვერ ახერხებდა, მით უმეტეს, რომ ძალლი მეტად დაახლოვებული იყო პატარა ჟაკთან. ბრუნო მთელ თავისუფალ დროს ჟაკთან ატარებდა: ელაქუცებოდა, დასდევდა, ვთამაშებოდა.

ფელისანს ეს გარემოება იმდენად აწუხებდა, რომ ხშირად პირსაც კი არიდებდა იმით ასეთ მეგობრულ განწყობილების სურათს. პატარა ჟაკი ხომ არც დღე და არც ღამე, თუ კი ბრუნოსახლში იყო, არ შორდებოდა. რას არ უშვრებოდა იგი ბრუნოს: ყურებს უსრესდა, კუდს უგრებდა, სცემდა, აჯავრებდა, ბევრჯერ ზურგზედაც კი გადააჯდებოდა. ერთი სიტყვით, ჟაკი ამ ძალლს ისე ეპყრობოდა, როგორც საზოგადოდ სჩვევიათ ყველა მალხაზ ბავშვებს ჟაკის წლოვანებაში.

ბრუნოსაც იმდენად უყვარდა ჟაკი, რომ ყველაფრის ნებას აძლევდა, ისე, რომ ის მთელი თავისი არსებით ჟაკის მონამორჩილი მეგობარი იყო და ისე შეეჩვივნენ ერთმანერთს, რომ ცალ-ცალკე თითქმის ვეღარ სძლებდნენ.

ფელისანი ხედავდა, რომ ესე მისი უნებლიეთი, მაგრამ არსებითად ნამდვილი მტერი ბრუნო ასე ძლიერ უყვარს მის ერთად-ერთ ვაჟს, და აღარ იცოდა რა ეჭნა.

— რა უნდა ეჭნა, როგორ უნდა მოვიშორო თავიდან ეს ძალლი?—იტყოდა ხოლმე გულ-მოკლული ფელისანი.

ფელისანი არ იყო არც გულცივი, არც უკეთური კაცი, მაგრამ ცხოვრების უკუღმართობამ და კოლშვილის უმწეო მდგომარეობამ იმდენად გააძლიერა ფელისანის გულში მეტოქის მოშორების სურვილი, რომ გადასწყვიტა, რათაც უნდა

დასჯდომოდა, მაინც მოესპო ბრუნოს არსებობა; ამისათვის კი საჭირო იყო მოხერხებული ღრო, და ისიც ამას შეჰყურებდა.

### III

ჟერარის სახლიდან ქვემოდ, ორ-ნახევარი ვერსის მანძილზე, სადაც სხვა-და-სხვა ადგილებთან შედარებით უფრო თბილა ხოლმე, მალალ ხეებს შორის, მწვანედ მოზიბინე მინდორველზე გაშენებულია სოფელი კურსელი თავისი დუქნით. ამ დუქანში ხშირად დადიოდა პატარა ეაკი, ბრუნოსთან ერთად. იყიდდა ხოლმე იქ სახლიდან დაბარებულ საოჯახო, საჭირო მასალას და უკან ბრუნდებოდა. ამიტომაც პატარა ეაკმა კარგად იცოდა ამ სოფლის გზა; მაგრამ როცა დარი მოიშლებოდა, მეტადრე ზამთრობით, მაშინ ეს გზა თითქმის გაუვალელი იყო, რადგან ხშირ მთებსა და ხრამიან ადგილებს შორის გზას ისე ამოავსებდა ხოლმე ქარ-ბუქი, რომ თვით დიდი გამოცდილი მოგზაურიც კი იბნეოდა და საშინელი ზეავის მსხვერპლი ხდებოდა თავის ეტლითა.

ოქტომბრის ერთ წყნარსა და მშვიდ საღამოს ცოლ-ქმარი ჟერარი ამ სოფელში წავიდნენ, თავიანთ მეგობრის სახელ-წოდების დღესასწაულზე დასასწრებად. სახლში დასტოვეს მხოლოდ ბრუნო.

მათი წასვლიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ გაავდარდა, წამოვიდა ხოვნა და უცებ მოთოვა არე-მარე. მიდამოს ჩვეულებრივი ზამთრის ელფერი დაედო. მოძრაობა შეწყდა. მშვენიერი შვეიცარიის მთა-გორები, თვალ-უწვდენი მინდორველი თოვლის ფიფქს ქვეშ მოექცა.

ხოვნამ მოუხშირა. ყველა სულდგმული ძილს და მოსვენებას მიეცა.

არ სძინებია მხოლოდ ფელისანს. იგი მთელი ღამე იმის ფიქრში იყო, თუ როგორ ეშველა თავის უმწეო მდგომა-

რეობისათვის; ამ ფიქრებში რომ იყო, მისმა ძველმა საათმა ხუთი დაჰკრა. „ახლა კი დროა“, — სთქვა გუნებაში ფელისანმა, წამოდგა, ტანთ ჩაიცვა, აიღო ხელში დიდი სამგზავრო თავკომბალა ჯოხი და თავის დის ოთახთან მივიდა; დაჰკრა წყნარად კარებს, გააღვიძა დედა და უთხრა:

— მატლდა, მე კურსელში მივდივარ... ბავშვი უპალტოდ გარედ არ გამოუშვა: უფრთხილდი—არ გაცივდეს... მე გეგებ შუადღემდე დამავციანდეს...

ფელისანმა პირჯვარი გაღიწერა და გარედ გამოვიდა. ჯერ კიდევ ბნლოდა. ქარი ჰქროდა. მეტად მოსაწყენი ამინდი იყო. ფელისანს უნდოდა უკან შებრუნებულყო, მაგრამ ეს სურვილი უკვე გადაწყვეტილ მიზანს დაუმორჩილა და პირდაპირ ქერარის სახლისკენ გასწია... ირგვლივ ყველაფერი სდუმდა. თოვდა. მკვდარ სიჩუმეს მოეცვა ცის ქვეშეთი.

ფელისანს ქერარის კარები მიხურული დახვდა. ბრუნო თურმე იქვე კარებთან ქოხში იწვა. შეაღო თუ არა ფელისანმა კარები, ძალი წამოხტა და მძლავრად შეჰყეფა...

— სუ, ბრუნო!.. ეს მე ვარ, შინაური, — მიადახა ფელისანმა. ძაღლმა იცნო იგი და გაჩუმდა. ფელისანმა ძაღლს პური წაუგდო. ძაღლმა პური შეჭამა და ნდობით სავსე თვალებით დაუწყო ცქერა.

— ჩემო ბრუნო! — მიმართა ახლა ფელისანმა, — აბა გამიძედ წინ... წამიყვანე კურსელში!..

პირუტყვი მიუხვდა ფელისანს, მიიბინა კიშკართან, შეიყნოსა ცივი ჰაერი და დაიწყო ჩვეულებრივი ყეფა. შემდეგ ერთი აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, თითქოს ეთხოვებოდა თავის პატრონის მიდამოსო, და გაუძღვა ფელისანს წინ. მიდის ძალი თავდაღმა დაშვებულ-დაკლაკნილ გზაზე, და მიჰყვება ფელისანი. გზა მეტად ძნელი სასიარულო იყო. აქა-იქ უკვე გადავიბრწყლა ქარ-ბუქის მონაყარ თოვლის ფიფქს.



გათენდა. უზარ-მაზარ მთის კალთებს ტყვიასავით მძიმედ ჩამოსწოლოდა შავი ღრუბლები.

ცოტას კიდევ გავივლი და დაგბრუნდები,—სთქვა ფელისანმა,—თორემ ვაი თუ ქარიშხალმა მომისწროს... ოღონდ კი მივალწიო მოხერხებულ ადგილს...

ამ ფიქრში მყოფი ფელისანი ერთბაშად უახლოვდება ერთ მოხვეულ გზას, რომლის ირგვლივ აზიდულია დიდი თოვლით დაფიფქული მთები. აქვე სჩანს საშინელი ხრიოკი, რომელიც სანახევროდ ზეავით არის ჩაარცხულ-ჩალურღუმელავებული.

თოვნამ იკლო: მაგრამ ახლა ქარი ამოვარდა. დაუბერა თოვლით დაბურულ ხის შტოებს, ააფორიაქა ფიფქის ქულები და მიდამო თოვლის ნისლში გააბვირა.

„ახლა კი დროა“, — სთქვა ფელისანმა და ძალს დაუძახა. ძალი, როგორც მონა-მორჩილი მისი თანამგზავრისა, სრული ნდობით მიდის ფელისანთან, ჩვეულებრივი ალერსით ულოკავს ხელებს, და შესცქერის თვალეშში, აბა რას მიბრძანებს, რას დამავალებსო...

ფელისანი ერთს შეჩერდება. თითქოს გრძნობს კიდევ, რომ ლალატობს სინიდისს, მაგრამ მაინც დასძლევს მეტოქის მოშორების სურვილი, უცებ სტაცებს ძალს ხელს, გადაიხვრის უფსკრულში და გამობრუნდება...

მიდის ფელისანი სახლისკენ და მიბუტბუტობს:—ეჰე!.. ახია შენზე!.. კიდევ გადამელობები გზაზე?!

ქარი თან-და-თან ძლიერდება. სჩანს, რომ სულ ცოტა ხანში საშინელი ქარ-ბუქი უნდა ასტყდეს. ფელისანმა ფეხს მოუჩქარა, მაგრამ ამაოდ: ის უფრო-და-უფრო სახიფათო მდგომარეობაში ვარდება. საშინელი ქარი ჰქრის; მოაქვს მთის მწვერვალოებიდან დანახლეტი გუნდ-გუნდი თოვლი და აქა-იქ აგროვებს და ჰფანტავს. ფელისანი ცდილობს სადმე თავი შეა-

ფაროს, მაგრამ ცხვირ-პირში ისე მძლავრად ეხლუნება თოვლი-  
ნარევი სეტყვა, რომ თვალთა-ხედვას უშლის: აღარ იცის  
საით მიდის... უკანასკნელად მარჯვენით შეუხვია. აქ კი სრუ-  
ლიად დაჰკარგა გზა „ვგონებ დაეიბენი... საქიროა უკან  
წასვლა; მაგრამ რომ აღარ შემიძლია... მოდი ცოტა ხნით აქ  
შევჩერდები, დავისვენებ: ეგებ მოვისაზრო რამეო“... პატარა  
ხის ჯირკვზე ჩამოჯდა და იქვე მდგომ დიდ ხეს მიეყრდნო  
ზურგით.

დაფიქრდა, დაღონდა ფელისანი. საშინელმა სინანულმა  
შეიპყრო. „რა ვქენი, რა ჩაეიღინე!“ — სთქვა მან თავის გუნე-  
ბაში: — დაეღუპე სრულიად უდანაშაულო პირუტყვი და ამით  
ჩემი თავიც დაეიღუპე.“

ფელისანს თვალები ცრემლებით ავესო. „მერე როგორ  
უყვარდა იმას ჩემი შვილი, როგორ ენდობოდა, ელაქუცე-  
ბოდა!“ სურს წამოხტეს, მივიდეს მასთან, გადაარჩინოს,  
მაგრამ გვიანდაა: ეს შეუძლებელია. ფელისანი იმდენად დაი-  
მონა უძლოურებამ, რომ აღგილიდან ველარ ინძრევა. ის უკვე  
გახვეულია თოვლის ფიფქში, რომელიც თან-და თან ეუფლე-  
ბა მის არსებას... იგი ჰკარგავს გრძნობას, იშხლართება თოვ-  
ლის ბუმბულში და სავსებით ემორჩილება უსაშველო ზვედრს.

#### IV

ფელისანი რომ სახლიდან წავიდა, ერთ საათს შემდეგ  
მამიდა მატლიდა აღვიძებს პატარა ფაკს. — ადე, ფაკ! — ეუბნე-  
ბა იგი თავის საყვარელს ძმისულს, — ადე, ჩემო ბიჭიკო! ბე-  
ბია შენი ძლიერ ავად არის; ვგონებ კვდება და სურს მამა-  
შენის ნახვა. გაიქე ჩქარა ბიძია ეტარათან, წაიყვანე ბრუნო,  
ჩადი სოფელ კურსელში და მამაშენს აცნობე.

ბავშვი მაშინვე წამოხტა, ტანთ ჩაიცვა და გაიქცა ე-  
რარის სახლში, მაგრამ ბრუნო იქ არ დახვდა. ეზოს კარები  
ღია იყო და ძაღლის ქოხი — ცარიელი.



— უთუოდ თავის პატრონთან წავიდოდა, — და გარედ გამოვიდა. მიიხედ-მოიხედა: უკვე გათენებული იყო. შორი-ახლოს თოვლით დაბურული ვეებერთელა მთები მოჩანდნენ. ნელი ქარი ჰქროდა და წვრილ თოვლ-ხოშკაკალს აფორიალებდა.

„რა ვქნა, როგორ უნდა მოვიქცე“?.. — ფიქრობს ეაკი. „ბებია ავად არის; უნდა მამა ნახოს; ბრუნო გაქცეულა... მოდი წავალ მარტოკა... რა მიშავს: გზაც კარგად ვიცი, და არც შორს არის...“

და ეს პატარა მორგვი ბიჭი ისე გაიტაცა მისი საყვარელი ბებულის სურვილის ასრულების წადილმა, რომ აღარას დაერიდა და მარტოდ-მარტომ გასწია კურსელისკენ.

მიდის გაჩქარებით ეაკი. ერთი სული აქვს, სანამ სოფელს მიაღწევდეს: „წამოვიყვან მამას, მივგვრი ჩემ საყვარელ ბებუტუნას და გავამხიარულებო“, — ფიქრობს იგი; მაგრამ ბუნება სულ სხვას ეპირება. ტყუილადკი არ არის ნათქვამი: „კაცი ბჭობდა — ღმერთი იცინოდაო“.

ღარი უფრო-და-უფრო იშლება. ქარი ძლიერდება და ბავშვს სიარულს უძნელებს. იღლება, იქანცება ბავშვი, მაგრამ მაინც თავს იმაგრებს და მიდის... „ოჰ, ვგონებ ვეღარ უნდა მივალწიო... როგორ გამიქირდა: ლამის ფეხები დამძვრეს...“

ეაკი მივიდა იმ საბედისწერო ადგილთან, იმ მოსახვევთან, ხროკის ნაპირას, საითკენაც ამ ერთი საათის წინად მამა-მისმა ეაკის მეგობარი ბრუნო გადაადგო. გზა შეტად ვიწროა და ძლიერ სახიფათო. ბავშვიც ისეა დაღლილ-დაქანცული, რომ ძლივს ადგამს ფეხებს... ამ დროს ერთბაშად დაუბერა მძლავრად ქარმა და ბავშვი უფსკრულში გადაჩეხა.

ამოდ ცდილობდა პატარა ეაკი თავი შეეკავებინა; ხელებს აქეთ-იქით აფოთიალებდა, მაგრამ თავის შესაკავებელი ვერა იპოვებდა.

ის ეშვება თავდაღმა და ეს წუთი მთელ საუკუნედ ეჩვენება. აი, საცაა უნდა დაეცეს ძირს და დაიმსხვრეს რომელსავე კლდის ნაპრაღს. მთელი მისი ხანმოკლე სიცოცხლის ხანამ მსწრაფელ გაუქროლა გონებაში. სურს დაბრუნდეს თავის მშობლიურ მთებში, სადაც ისეთი წმინდა და კარგი ჰაერია. ბევრი ძვირფასი და უმანკო ფიქრი უტრიალებს პაწაწინა თავში. „ეჰ, ახლა რომ ჩემი საყვარელი ბრუნო ჩემთან ყოფილიყო, ხომ არ დავიღუპებოდიო?!“

ბუჰ!.. ის ეცემა რაღაც ბუმბულივით რბილ ნიდავზე. „ეს რაღა არის“?.. ფიქრობს იგი: „ნუ თუ, აქ დაღბა, დარბილდა ქვეები?.. ეგებ მოწყალე ღმერთმა ჩემთვის სასწაული მოახდინა?..“ მაგრამ არა: ის ჩქარა რწმუნდება, რომ აქ სასწაული არაფერ შუაშია; ის მხოლოდ ღრმა და რბილ თოვლშია ჩავარდნილი, და თუმცა ამ ჩავარდნით არაფერი სტკენია, მაგრამ ისე ღრმად არის ჩაფლული თოვლის ზედავში, რომ სულ ერთია: თუ როგორმე იქიდან ამოსვლა ვერ მოახერხა, უეჭველად დაიღუპება.

ჟაკს სურს როგორმე განთავისუფლდეს, ამოძრავდეს, მაგრამ თოვლი უფრო-და-უფრო ეხვევა ყოველის მხრით, აწვება, ჰბორკავს ბავშვის ძალ-ღონეს, უსპობს მოძრაობის უნარს, უხუთავს სულს, უკარგავს ცნობიერებას.

„ჰაერი, ჰაერი, ჩქარა!.. გადაფუშეთ თოვლი, გამანთავისუფლეთ, თორემ დავიღრჩვი!“ ეს არის უნდა დაიყვიროს ჟაკმა, მაგრამ ისე მაგრად და მძიმედ აწვება ყოველის მხრით თოვლი, რომ ხმისაც ვერ იღებს... ამ დროს ის ერთბაშად რაღაც სითბოს იგრძნობს, რაღაცა ინძრევა მის გარშემო, ქლოშინობს, იბრძვის, არღვევს თოვლს და აქეთ-იქით ჰყრის... ეს არის ბრუნო, ჟაკის საყვარელი არსება, მისი ნამდვილი მეგობარი. იგი უახლოვდება ჟაკს, ცხვირ-პირიდან თოვლს აცლის და ამით აძლევს საშუალებას ამოისუნთქოს. ბრუნო შეუჩერებლად მუშაობს: იმან უკვე გადაშალა თოვლის პი-



რი და ეაკს მისცა საყნოსავედ თავისუფალი ჰაერი. თქვენი ისუბ-  
თქავს წმინდა ჰაერს და ახელს თვალებს.

— ბრუნო! — შესძახებს იგი სუსტად, გადაეხვევა ძაღლს  
კისერზე და დაუწყებს კოცნას.

ძაღლი ინთავისუფლებს თავს და განაგრძობს მუშაობას.  
ბოლოს ის სრულიად გაანთავისუფლებს ეაკს, შეისვამს ზურგ-  
ზე და ამოჰყავს ზემოდ.

ახლა ისინი სამშვიდობოზე არიან. კიდევ სულ ცოტა, და  
დააღწევენ თავს ამ უღაბურ გზას.

მიდის და მიდის ბრუნო თავისი სასურველი ტვირთით.  
ის ახლა მხოლოდ ეაკზე ფიქრობს: უნდა უვნებლად სახლ-  
ში მიიყვანოს. წაუვლია ენა წინ და შეუჭერებლად მიიწევს  
სახლისკენ.

— ეს რაღა არის?.. ბრუნო შეჩერდა. რაღაც მოშავო  
მოსჩანს ახლად წაფიფქულ თოვლის ქვეშ. ბრუნო ბავშვს  
ფრთხილად დაუშვებს ძირს, მიდის იმ მოშავო ადგილთან,  
ბუგნის თოვლს და ხედავს, რომ კაცის ქუდი გდია. ბრუნომ  
დასუნა ადგილს და უჩინარ კვალს... მივიდა დიდი ხის ძირ-  
ში, შედგა, გააქან-გამოაქანა კუდი და მხიარულად შეჰყეფა.  
შემდეგ მოუსვა თათები შეკუმშულ თოვლს, გადაჰყარ-გად-  
მოჰყარა და აღმოაჩინა ადამიანის გვამი. აუსვ-დაუსვა ცხვირ-  
პირზე ენა და მოასულიერა.

— მამა! — შეჰყვირა ეაკმა და მივიარდა, — შენ რა გინდა  
აქ?..

ფელისანმა ღრმად ამოიოხრა, შეისრუტა ჰაერი და თვა-  
ლები გაახილა. ნახა, რომ მის წინ სდგას ეაკი და იქვე არის  
ბრუნო, ის ბრუნო, რომელიც მან ამ ერთი საათის წინად,  
სასიკვდილოდ გამეტებული, ხრამში გადისროლა და ბრუნომ,  
თითქოს აქ არაფერიაო, ჯერ შვილი და ახლა კი თვითონ ის  
გადაარჩინა.

ძალის ასეთმა საქციელმა ფელისანი მეტად ჩაშფოთდა. თვალები კრემლებით აფესო და დარცხვენილი ჩუმად ეუბნება:

მაპატიე!.. მაპატიე!.. შენ ბევრად ჩემზედ კეთილი და ლმობიერი ყოფილხარ, თუმცა შენ პირუტყვი—ძალი გქვია, და შე კი,—სამარცხენოდ ჩემდა—მეტყველი ადამიანი...

ამავე დროს პატარა ეაკი სრული ბავშური გულუბრყვილობით, სხაპა-სხუპით უამბობს მამას თავის თავგადასავალს; ბრუნოს რომ არ ეშველა ჩემთვის, —ამბობს ეაკი, —შე ახლა უკვე გაგუდული ვიქნებოდით.

განცვიფრებული ფელისანი შეჰყურებს სასწაულებრივად გადარჩენილ შვილს, იღიმება, იმეორებს შვილის სიტყვას: „გაგუდული“—და გრძნობით საესე თვალებით შეჰყურებს ბრუნოს. ბრუნო კი მზიარული ყფით გასწევს სახლისკენ; ეაკიც მას მისდევს. ფელისანი შეჩერდება, ალაპრობს ხელებს და თვალ-კრემლიანი შესტირის ზეცას: —გულთა-მზილაფო, —მომართავს იგი უფალს, —ყველაფერი ეს, რაც მე ჩავიდინე, გამოწვეულია ჩემი უვიცობით და უსწავლელობის მიზეზით. ეჰ, სწავლა, სწავლა!—დასძენს ფელისანი, —რა ძვირფასი რამა ხარ! ოღონდ სწავლით იყოს აღჭურვილი კაცი, და თუ გინდ სრულიად ობოლ-ობერი იყოს, იგი უსალსრო და უსახლ-კარო არ დარჩება.

გულ-აჩუყებული ფელისანი გაჰყვა ბრუნოსა და ეაკის ნაკვალევს... ტირის ფელისანი, გლოვობს თავის უშწეო მდგომარეობას და თავის უსწავლელობას, მაგრამ მისი ტირილი არავის ესმის... ან კი ვინ უნდა გაიგონოს: ის მარტოკაა... ვის რად უნდა იგი ასეთი—უსწავლელი და უვიცი?.. ის ხომ ისეთი კაცი არ არის, რომ შეეძლოს სხვა რამე ხელობით და არა ყოლაოზობით მოიპოვოს რამე; და ამ საქმეს ხომ ძალიც კარგად ასრულებს. მაშ ის მეტი ბარგი ყოფილა ამ



ქვეყანაზე, — ისე, როგორც არის საზოგადოდ ყველა ქვეყანაზე...  
ლელი!..

ქარი ჰქრის, გმინავს, გუგუნებს. ცივი, სუსხიანი გრივალის აზვირთებს მის გარშემო ღრუბლებს და ხელახლად უპირობს ფელისანს გზიდან გადაცდენას; მაგრამ მის ახლა ეს აღარ აღონებს... იცის, რომ ბრუნო მასთან არის, და ის ხომ გზას არასოდეს არ დაჰკარგავს!..

დაბრუნდნენ სახლში. მოხუცი დედა ფელისანისა მოკეთებული დახვდათ. მატყლდამ სადილი მზად დაახვედრათ. მოუსხდნენ მაგიდას და შეუდგნენ დანაყრებას.

ურიგებდა მატყლდა დაღლილ-დაქანცულ მოგზაურებს კერძებს და თან აქებდა ჟაკს:

— ჰაი და ჟაკ! ყოჩაღ, ყოჩაღ, ჩემო ბიჭიკო!.. იმედია შენგნით შესამჩნევი ყოლაოზი გამოიჩარხება...

## V

მოსალამურდა. დარი დაწყვა, დამშვიდდა. მეორე დღეს, დილა-ადრინად კი ფელისანს ესტუმრა ეერარი თავის ცოლით.

— მეზობელო! — ეუბნება ეერარი ფელისანს, — ჩვენ ეს არის დავბრუნდით კურსელიდან... ძლიერ მოგვეწონა იქაური მშვიდი და წყნარი ცხოვრება... და გადავწყვიტეთ გადასახლება. ძალსკი თქვენ გიტოვებთ საჩუქრად... გყავდეთ ჩვენდა კეთილ სახსოვრად!..


ფელისანი გაშტერდა... მის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. დიდის მადლობით ჩამოართვა ეერარს ხელი და ნამეტანი გრძნობისაგან დიდხანს, დიდხანს ვერა უთბრა-რა.

და შართლაც განა შეეძლო ეფიქრა, და ისიც ეუბოდა მზრივ, ასეთ ძვირფას საჩუქარზე?..

კიდევ უფრო გამზიარულდა პატარა ეაკი.

— ჩემია, ჩემი... ჩემი!.. — გაჰკიოდა იგი და ბრუნოსთან ერთად დარბოდა ეზოში ბრილიან ტივით ბრწყინვალე თოვლზე.

**იასე რაჭველი**







## ბრძოლა ადამიანისა ბუნებასთან

რომელი ძალები შველიან ადამიანს ბუნებასთან  
ბრძოლაში?

(წერაღი შეთათხმეტე.)

ორთქლის ძალა.



კუა და შრომის-მოყვარეობა, აი ორი ძალა, რომ-  
ლებიც უმთავრესად ჰშველიან ადამიანს მის ბრძო-  
ლაში ბუნებასთან, აი ორი იარაღი, რომლებითაც  
იმორჩილებს ადამიანი ბუნებას და მის ძალებს. მაგრამ  
კიდევ ბევრი შრომის დახარჯვა დასჭირდებოდა ადამიანს  
**ამაოდ** მის ბრძოლაში ბუნებასთან, რომ არ მოეხერხე-  
ბინა თვით ბუნებისავე ძალებით ამ ბუნებისა და მის ძალ-  
თა დამორჩილება-გამოყენება. გავეგონებათ ქართული ან-  
დაზა **ხის** შესახებ; ხემ სთქვაო: „ცული როგორ მომპრიდა,  
რომ ტარად ჩემივე ხე არ ჰქონდეს ყუაში გაკეთებულიო!“  
სწორედ ასევე, ადამიანი ვერ მოერეოდა და ვერ დაიმორ-  
ჩილებდა ბუნებას, რომ ბუნების ძალები არ მოეხმარა ბუნე-  
ბისავე ძალების დასაძლევად და დასამორჩილებლად.

ასე სასარგებლოდ გამოიყენა ადამიანმა, მაგალითად, ბუ-  
ნების ერთი ძალა, რომელსაც **ორთქლი** ეწოდება. ორთქლი,  
როგორც იცით, წარმოსდგება წყლის შეთბობისა და აღუღე-  
ბისაგან. ორთქლი ისეთი ძლიერი რამ არის, რომ იგი აღვი-

ლად ჰხეტქავს ყოველ კურქელს, რომელშიაც კი შოა-  
მწყვდევთ. ადამიანმა მშვენიერად გამოიყენა ორთქლის ეს  
თვისება და ისეთი ძლიერი მანქანები გააკეთა ამ ორთქ-  
ლით მოძრავი, რომ ათასი და მილიონი ცხენის მაგიერო-  
ბას უწყევნენ, დღე და ღამ შეუსვენებლად. პირველი ასეთი  
მანქანა, როგორც თქვენც უკვე იცით, ინგლისელმა უაიტმა  
გამოიგონა, და მას შემდეგ სად და რაში გინდა, რომ მას არ  
ხმარობდნენ: იგი აბრუნებს თუ ატრიალებს ათასნაირ მანქა-  
ნებს ქარხნებში, თუ გემებზე და მიაქანებს მთელ მატარებლებს  
რკინის გზებზე, ხნავს და აბრუნებს თვალუწვდენ მინდვ-  
რებს, სთხრის გვირაბებს, და სხვა და სხვა.

### ელექტრონის ძალა.

ასევე ნაყოფიერად გამოიყენა ადამიანმა ბუნების მეორე  
ძალა—ელექტრონი. მზგავსად ორთქლისა ელექტრონიც მია-  
ქროლებს ადამიანებს დიდრონი ქალაქების და დაბა-სოფლების,  
თუ აგარაკების რკინის გზებზე, აჰყავს ისინი მაღალ მთებზე,  
თვალის დახამხამების უმაღლ გადააქვს ცნობები ერთი ადგილიდან  
მეორეში, გვაძლევს მშვენიერ სინათლეს, აბრუნებს და ატ-  
რიალებს ათასნაირ მანქანებს ქარხნებში თუ სტამბებში, და  
სხვა და სხვა.

ელექტრონის ძალას აჩენენ საგანგებოდ გაკეთებული მან-  
ქანებით, რომლებსაც დინამო-მანქანები ეწოდება ძლიერ  
მოხერხებულად არის გაკეთებული ეს მანქანები. უმთავ-  
რესი ნაწილი ამ მანქანებისა არის ბორბლის მზგავსი უშველე-  
ბელი თვალი; დაატრიალებთ ამ თვალს თუ არა, მანქანიდან



მაშინვე იწყებს დენას ელექტრონი ზედ მოწყობილ შავ-თულში; ხოლო აქედან შეგიძლიათ გაიყვანოთ იგი მავთულთვე, სადაც გნებავთ, თუნდა ასი და ორასი ვერსის მანძილზე. დინამო-მანქანის თვალს ჩვეულებრივ ატრიალებენ ორთქლის ძალით, და ამ სახით გამოდის, რომ ადამიანები ბუნების ერთი ძალით მის მეორე ძალას აჩენენ და იმორჩილებენ.

### ჩანჩქრების ძალა

დიდი ხანი არ არის, რაც ადამიანებმა იწყეს ბუნების ერთი მუქთი ძალის გამოყენებაც. მე მოგახსენებთ ჩანჩქერთა, ესე იგი—მომალლო ადგილიდან გადმონადენ წყალის და მისი დენის მუქთი ძალის გამოყენებაზე ელექტრონის დასამუშავებლად. მაგალითად, სიმპლონის გვირაბის გათხრაში ყველა სათბრელ მანქანებს ელექტრონის ძალით ამუშავებდნენ, მისითვე ანათებდნენ გვირაბის ჯურღმულებს და ამოძრავებდნენ და ასუფთავებდნენ ამ ჯურღმულებში დაგუბებულ, დაშმორებულ ჰაერს. ამოდენა ძალის დინამო-მანქანის თვალს-კი ამოძრავებს იმავე მთებიდან ჩანჩქერად გადმომჩქეფარე ნაკადული, ანუ პატარა მდინარე!..

ამერიკაზე ხომ ნულარას იტყვიან: იქაური ნიაგარის ჩანჩქერი ამოდენა დინამო-მანქანებს ამოძრავებს, რომ 150 ათასი ცხენის ძალის ელექტრონს აჩენს და მთელ ამოდენა ძალას მავთულების საშუალებით აწვდის ათასნაირ ქარხნებს და სახელოსნოებს ასი და მეტი ვერსის მანძილზე...

ჩანჩქერთა მუქთი ძალით მომუშავე ასეთი საელექტრონო სადგურები ბევრია დღეს რუსეთშიაც, მეტადრე შვეი-

ცარიასა და იაპონიაში. ამ უკანასკნელ ქვეყანაში ხომ ისე გავრცელებული ასეთი საელექტრონო სადგურები, რომ თვით პატარა სოფლებშიაც კი გამართული აქვთ. რუსეთში ასეთ სადგურებს შორის შესანიშნავია **იმატრის ჩანჩქერისა** ფინლანდიაში და მდინარე **ნარვისა**, ქალაქ **ნარვასთან** ახლოს, პეტროგრადის გუბერნიაში...

ერთი სიტყვით, უძლიერეს ძალად მე-XIX საუკუნეში ითვლებოდა **ორთქლი**; ხოლო მე-XX საუკუნეში ასეთ ძალად ითვლება **ელექტრონი**..

### ქვა-ნახშირი.

კარგად იცით, რომ **ორთქლის** მანქანები ვერ იმუშავებენ და ვერ იმოძრაებენ **უცეცხლოდ**. ცეცხლისათვის კი საჭიროა **შეშა**. მაგრამ, როგორც წინა წერილებშიაც განვმარტეთ ადამიანებმა ტყეები თითქმის სულ გააჩანაგეს და ამიტომ შეშაც აღარ გასწვდებოდა ქვეყნის ამოდენა მანქანებს, რომ ადამიანებს არ აღმოეჩინათ მიწაში ერთგვარი საწვავი **მასალა, რომელსაც ქვა-ნახშირი ეწოდება**. ქვა-ნახშირი უმშვენიერესი საწვავია ლუმელების თუ ბუხრების გასახურებლად. ქვა-ნახშირი სქელ-კეცად აწყვია ღრმად მიწაში, და ამიტომ აღვილი არ არის მისი იქიდან ამოღება ამოთხრა, მაგრამ, რადგანაც სხვა გზა აღარ იყო, და ადამიანს ან სულ უნდა დაეკეტნა, რაც ქვეყანაზე ქარხნები და სახელოსნოებია, ან უნდა ქვა-ნახშირი ეთხარა, მან ისევ ეს უკანასკნელი არჩია, და აი ჩაძვრა იგი დედამიწის შუაგულში, სადაც კი აღმოჩნდა ეს ძვირფასი საწვავი, და იწყო იქ თხუნელასავით მისი თხრა და ზევით, ზედაპირზე ამოზიდვა. ბევრი

უბედურება და ნაკლი სდევს ადამიანის მუშაობას დედამიწის შუაგულ ჯურღმულებში: ხან მიწა ჩამოწვება და ქვეშ მოიტანს ხოლმე საწყალ მუშებს, ხან უეცრად სადმე მთელი მდინარე გადმოსქდება ამ ჯურღმულებში და ან ცეცხლი გაჩნდება იქ და ცოცხლივ აღრჩობს და სწვავს ჩვენს ძმებს და მამებს; მაგრამ, როგორც ვსთქვით, ადამიანისათვის ჯერ-



ქვა-ნახშირის მალარობები.

ჯერობით სხვა გზა არ არის, რომ თავი მიანებოს ამ საქირო საწვავის თხრას დედამიწის უფსკრულში, და ისიც ძალაუნებურად განაგრძობს ამ მძიმე საქმეს... მაგრამ ამას ვილა ჩივის: საქმე იმაშია, რომ რაც დრო გადის, ქვა-ნახშირი, რა თქმა უნდა, ილევს დედამიწის ზემო ნაწილში და ადამიანს თან-და-თან სულ ღრმად და ღრმად უხდება ჩასვლა, ასე რომ ამ ჟამად, ინგლისში, მაგალითად, უკვე ზღვებისა და ოკეანეების ძირებში სთხრიან ამ საწვავს!..

ძნელი არ არის ამის მიზეზის გაგება: მთელი დედამიწის ზურგზე ყოველწლივ ითხრება 30 მილიარდი ფუთი ქვა-ნახშირი (30.000.000.000), და რა თქმა უნდა, რომ გამოიღეოდა! მაგრამ ქვა-ნახშირი იღევა მარტო დედამიწის ზედა ნაწილში, მის ქვეით კი ჯერ კიდევ ბევრია ეს ძვირფასი საწვავი. გამოანგარიშებულია, რომ ავსტრიას, საფრანგეთს და ბელგიას ჯერ კიდევ 500 წლამდის ეყოფათ, რაც მათ ქვეყნებში ქვა-ნახშირი მოიპოვება, ხოლო გერმანიასა და ინგლისში ათას წელიწადსაც ეყოფათ.

რუსეთში ყოველწლივ ითხრება 500 მილიონი ფუთი ქვა-ნახშირი და 100 მილიონი ფუთიც სხვა ქვეყნებიდან შემოაქვთ. რუსეთში ქვა-ნახშირი ითხრება უმთავრესად მდინარე დონის ახლო და პოლონეთში; ხოლო ჩვენ საქართველოში — ტყვიბულში, ქუთაისის გუბერნიაში. მდინარე დონის ახლო თურმე იმდენია ქვა-ნახშირი, რომ მთელ საუკუნოებს ეყოფა თუნდა მთელ ქვეყანას: ოლონდ მოთხარე და წაიღე!.. ახლა რამდენი ადგილია დედამიწის ზურგზედ ჯერ კიდევ სრულიად გაუცნობელი და გამოუკვლეველი, სადაც აგრეთვე შეიძლება მილიარდ ფუთობით იყოს ქვა-ნახშირი დამალული.

### გ ა ვ თ ი.

მეორე ასეთივე ძვირფასი საწვავი, როგორც ქვა-ნახშირია, არის ნავთი (დაუწმენდელი). ნავთი იმით არის კარგი და ხელსაყრელი ადამიანისათვის, რომ მის ამოსაღებად სრულიად საჭირო არ არის სადღაც ქვესკნელში ჩაძრომა და იქ მუშაობა, რადგანაც ნავთი თითონ ამოდის შადრევანად



დედამიწის შუაგულიდან, აი ისე, როგორც აქ  
 ტული.



ნავთის შადრევანი ბაქოში

ნავთი იმით არის კარგი და ხელსაყრელი ადამიანისათვის, რომ იგი ერთგვარად გამოსადეგია, როგორც სახლების გასათბობად, ისე რკინის გზებზე და ყოველგვარ ქარხნებსა, თუ სახელოსნოებში. რუსეთში საწვავად ყოველწლივ იხმარება 140 მილიონი ფუთი ნავთი. უდიდესი ნაწილი ამ ნავთისა ამოაქვთ მიწიდან ქალაქ ბაქოში, თფილისიდან 500 ვერსზე და ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ივ. როსტომაშვილი.





## გამოსაცნოვი

(წარმოადგენილია ღაღო ღამბაშიძის მიერ)

მათხოვარს ჰქონდა რამდენიმე კაპეიკი; შევიდა საყდარ-  
 ში და შეევედრა წმიდა გიორგის ხატს:—წმიდაო გიორგი,  
 იმდენი ფული მომეცი, რამდენიც მე მაქვს და ერთ აბაზს  
 შემოგწირაო. ვედრება აუსრულდა და ერთი აბაზი შესწირა  
 ხატს. მერე მიუბრუნდა მაცხოვრის ხატს და იმასაც ისე შეე-  
 ვედრა: იმდენი ფული მომეცი, რამდენიც მე მაქვს, და აბაზს  
 შემოგწირაო. ეს თხოვნაც აუსრულდა და მაცხოვარს ერთი  
 აბაზი შესწირა. ბოლოს ღვთის მშობლის ხატს მიჰმართა  
 ამავე თხოვნით. აქაც აუსრულდა თხოვნა, ესე იგი მიღო  
 იმდენი ფული, რამდენიც ჰქონდა, და აბაზი შესწირა ხატს,  
 ხოლო ჯიბეში აღარაფერი აღარ დარჩენია. რამდენი ჰქონია  
 მათხოვარს ფული როცა საყდარში შევიდა?





# შარაღები

(წარმოდგენილია ზ. ნაორავის მიერ).

## I

სიმინდისა ღერო-ტანის  
 წინა მარცვალი აიღე,  
 დაუმატე წედლი თივა  
 და ერთად თავით წაიღე.

## II

საკმელად ნაცარში ცხვება,  
 რკინისა კი ლურსმანს ხედება,  
 ბოლო ხმოსნის მაგიერად  
 ჩვენთვის უხმო მოუხდება;  
 შემდეგ ხარსა შეუძახე,  
 უკან დასწი, წკნელს ნუ დაჰკრავ  
 და მაშინ ერთად წარმოთქმულს  
 უმს, სასმელივით გადაჰკრავ.

# რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილი დ. ელიოზიშვილისაგან)



„ თევზის  
ძვალი „




მა წლის 1/12  
ნაწილი „



მამი ჩემის  
ქალიშვი-  
ლი ანუ?

5 „



მ



„ გაზაფ-  
ხულზე  
მინდორს  
რა ამშვე-  
ნებს. „

მ  
ვ

ვთვის  
სახელი.



ლ

მე-8 №-ში მოთავსებულ შარადების და რებუსის აღსნა:

- 1) იაფუნდი; 2) ორატორი; 3) მალაგასკარი.
- 4) ჯონ არ იცის რომ ეს გული მკვდარია,  
რომ სიცილი ბევრჯელ კრემლზე მწარია.

რედაქტ: ნინო ნაკაშიძე.

გამომც. მ. პ. ი. თუმანიშვილი.



„ნაკადული“-ს რედაქციაში

ქართული  
ენების ინსტიტუტი

და

წერს-პითხვის საგზააღმავლის წიგნის მალაჩიოში იყიდება შემდეგი წიგნები :

- 1) ტომის თავგადასავალი,—თბზ. მარკ ტვენისა, თარგმ. გრ. ყიფშიძისა, ფასი . . . . . 50 კ.
- 2) რას გვიამბობს ოთახი,—თბზ. ავენარიუსისა, თარგმ. გ. ჯაფარიძისა, ფასი . . . . . 20 კ.
- 3) საყმაწვილო მოთხრობები,—ნინო ნაკაშიძის ფასი . . . . . 10 კ.
- 4) სკრუჯი და მარლენი,—საშობაო მოთხრობა, ჩარლი დიკენსისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი . . . . . 25 კ.
- 5) დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები 3. ქ. ანდერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა და რ. კიპლინგისა, ფასი. . . . . 30 კ.
- 6) ბავშვობა და სიყრმე.—მოთხრობა ლევ. ტოლსტოისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი. . . . . 60 კ.
- 7) ორი მხატვარი,—თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი . . . . . 15 კ.
- 8) სამშობლო ბუნების სარკე, დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები,—ივანე ელიაშვილისა, ფასი. . . . . 30 კ.
- 9) შობა, მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან,—ნინო ნაკაშიძისა, ფასი. . . . . 5 კ.
- 10) ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი—ეგონისტი, ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგმ. ივ. მაკავეარიანისა, ფასი. . . . . 5 კ.
- 11) დათო,—ირ. ევლოშვილისა, დიდების მამიებელი, თარგმ. ალ. შანშიაშვილისა, ფასი. . . . . 5 კ.
- 12) მოთხრობები,—ლაგერლენისა და სხვა უცხო მწერლებისა. . . . . 5 კ.
- 13) იგავ-არაკნი,—125 დასურათებული, პატარა მოთხრობა, ავტორის სურათით, ალ. მირიანაშვილისა, ფასი. . . . . 75 კ.
- 14) ბიძია თომას ქოხი,—რომანი ბიჩერ-სტოუსი ზანგთა განთავისუფლების დროისა, სურათებითა და ბიოგრაფიით, თარგმანი მ. კლიმიანაშვილისა. 1 მ. 25 კ.

2/24  
1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალს საქართველოს  
განმანათლებლო

„ნაკადული“-ზე

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

შუპნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადულისა“ 12 წიგნი „ნაკადულისა“  
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

თი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, ვაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მან. ვაგზავნით 3 მან. 50 კაპ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. ვაგზავნით 3 50 კაპ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. ვაგზავნით 3 მან. 50 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილიადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახელი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. ქუთაისში—ისიდორე კვიციანიძესთან, შ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. სამტრედიისში—ვლ. ნაცვალაძესთან. ფოთში—ლუღმილე მგვრელიშვილთან. ბათუმში—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, ტანასტასია ლომინაძესთან. ოზურგეთში ტ. ლანჩხუთში—ლეო იმნაძესთან. თელავში—ვანო პაატაშვილთან. ახალციხეში—კონსტანტინე გვარამაძესთან. ბაქოში—მარიამ ნაკაშიძესთან. გორში—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. ჭიათურაში—ივ. გომელაურთან. ხონში—მ. ი. ქავკანიძესთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე  
გამომცემელი მ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.